


უღის იტორია

2006



ღუთისმშობლის მიძინების კატარი

2006 უუღი

უდის ისტორია

ჩვენი წინაპრები ძველი წელთაღრიცხვით 122-125 წლებში ღვინის ხარკს უხდიდნენ ასირიელებს. ასირიის მეფე სარგონი ასე აღწერს თავის ბარბაროსობას: “მე დაეწვი მშვენიერი სადგომები, მე ავჩეხე მათი ხეხილის ბაღები და ურიცხვი ვენახები. მე ბოლო მოვუღე მთელ მათ სასმელს და უდაბნოდ ვაქციე ეს ქვეყანა.”

ვინ მოთვლის რამდენი თავგანწირვა დასჭირდათ ქართველ ტომებს, რათა ახალი, ბედნიერი ცხოვრების გზაზე დაეყენებინათ თავიანთი დაბეჩავებული ქვეყანა.

ასირიელების მიერ მუსხების – მოსხების (მესხების) ჩაგვრას ბოლო მოუღო კიმერელთა ტომის შესევამ ასირიაში. ამის შემდეგ ქართველთა ტომები იძულებულნი გამხდარან დაეტოვებინათ ძველი საცხოვრებლები და სამხრეთიდან უფრო ჩრდილოეთით წამოსულიყვნენ და დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებულან (თუმცა დღევანდელი მესხეთის ტერიტორიაზე მესხების ნაწილი მაინც ცხოვრობდა). ამ დროიდან მოყოლებული ქართველთა ტომების არსებობა მცირე აზიაში ქრება.

“მუშკები” ანუ მესხები დასახლებულან დღევანდელი სამცხის ტერიტორიაზე, მცირე ნაწილი დასახლებულა დღევანდელი ადიგენის რაიონის ერთ-ერთ უძველეს ადგილას “უდის ველზე” (დღევანდელ უდივლებზე), სადაც მანამდეც ცხოვრობდნენ მესხთა ტომები.

დღევანდელ სოფ. უდის სამხრეთ აღმოსავლეთით “მამულათ წყაროსა” და “ასკილოვანების” თავზე მდებარეობს ნასოფლარი “უდის ველი”. არქეოლოგები ამ ნასოფლარს მეოთხე ათასწლეულის ნასოფლარად თვლიან, აქ არის გორასამარხები (ყორღანები).

აი რას წერს “განახლებული მესხეთი” 1976 წლის პირველი მაისის ნომერში არქეოლოგთა ექსპედიციის ხელმძღვანელი ოთარ ღამბაშიძე: “აღსანიშნავია, რომ შუა ბრინჯაოს ხანა მსხვილ ტომთა გაერთიანების ხანაა. სწორედ ჩვენს მიერ ხსენებულ მხარეში ჩვენს მიერ მიკვლეული ყორღანები მსგავსად თრიალეთისა, ტომის ბელადებს ან დაწინაურებულ დიდ ოჯახებს თუ გვარის წევრებს ეკუთვნით. ამ თვალსაზრისით სოფ. უდეში (უდივლები – უდის ველები) მიკვლეული გორასამარხები (ყორღანი),

რომელიც გარეგნული ნიშნებით დიდ მსგავსებას ჰპოვებს მტკვრის ზემო წელში ცნობილ კამერიან გორასამარხებთან.

აქედან გამომდინარე დღევანდელი სოფელ უდის წინამორბედად უნდა ჩაითვალოს უძველესი ნასოფლარი “უდის ველი”, საიდანაც მოსახლეობა IV-III ათას წლებში ჩამოსახლდა და დაიწყო ცხოვრება დღევანდელი უდის ტერიტორიაზე. ჩამოსახლებულ მოსახლეობას “უდის ველის” ნაცვლად უნდა დაერქმიათ უდე, რადგან ახალი დასახლება ხევ-დელებით, გორაკ-ბორცვებით, გაუვალი ტყით ყოფილა დაფარული და არ ჰქონია ველ-მინდორი, რის გამოც სიტყვა “ველი” თავისთავად ჩამოშორდა და როგორც ჩანს სოფელს სახელი “უდე” დარქმევია.

წინაპართა გადმოცემით, დღევანდელი უდის შემოგარენი დაფარული ყოფილა ხშირი, გაუვალი შერეული ტყით. აღნიშნულს ადასტურებს ის, რომ მაქანდარაშვილების სახლს ძელად გამოყენებული ჰქონია ასკილის ხე, რომლის გულში კატები თავისუფლად ძვრებოდნენ.

უდის სახელის წარმოშობის შესახებ ზოგიერთ მკვლევარს თავისი შეხედულება აქვს. მკვლევარი ვანო მერაბიშვილის აზრით უდე უძველეს პერიოდში უნდა ყოფილიყო “შუშან ქალაქის” სახელწოდებით.

ვანო მერაბიშვილი (სოფლის მკვიდრი) 1897 წლის ჟურნალ “კვალში” წერდა: ეს ნაქალაქევი – სამეზობის არის აოხრებული თავისი დასაბამიდან”, როგორც საქართველოს, ისე უდის ამოხრებლად ასახელებს მურვან ყრუს, თემურ ლენგსა და უკანასკნელად თურქთა შემოსევებს და ბოლოს ასე ამთავრებს: ნაქალაქევს შნო და შეხედულება დაჰკარგვია თემურ ლენგის აოხრების შემდეგ.

ვანო მერაბიშვილის ეს მოსაზრება არ უნდა იყოს სწორი, რადგან უდის მთლიან დასახლებას კი არ რქმევია “შუშან – ქალაქი”, არამედ მის ერთ-ერთ უბანს, სადაც ცხოვრობდნენ ამ სოფლის ბატონი სტეფანე და მისი მეუღლე შუშანა შახბურაძეები. (ეს ადგილი დღესაც შუშანქალას სახელს ატარებს). როგორც თვითონ მკვლევარი გადმოგვცემს ამ უბანში არსებული ეკლესია და ბატონის სასახლე მურვან ყრუს დაუნგრევია და ბატონი სტეფანე შახბურაძე წამებით მოუკლავს. მის ქვრივს შუშანას დანგრეული სასახლე და ეკლესია აუშენებია თავისი ხარჯით, იგი დიდი შეძლებული ბატონის – ანტონ ხურციძის შვილი ყოფილა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ უბანი სადაც ცხოვრობდა სტეფანეს ქვრივი შუშანა, ქმრის სიკვდილის შემდეგ მან ისე მოაწყო, რომ ამ უბნის მოსახლეობამ “შუშანას ქალაქი” შეარქვა, ხოლო უდის მთლიან დასახლებას კი დასაბამიდან უღე უნდა რქმეოდა და არა “შუშანქალაქი”.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შახბურაძეებს მემკვიდრე არ დარჩენიათ და უღესაც მას შემდეგ ბატონი – თავადი აღარ ჰყოლია.

ბატონ ილია მაისურაძეს (დოცენტი) რამდენიმე ვარიანტად აქვს მოცემული სოფელ უდის სახელის წარმოშობის საკითხი.

ერთ-ერთ ვარიანტში იგი უღეს ნაგების თავშესაფრად, სადგომად ანუ ნავსაყუდებლად მიიჩნევს, სინამდვილეში უდის ტერიტორიაზე არსებულ ზღვიური ნალექები ადასტურებს, რომ მთელი საქართველო და დღევანდელი მესხეთის ტერიტორია დაახლოებით სამი მილიონი წლის წინათ დაფარული ყოფილა წყლით და მაღალი მთები კი კუნძულების სახით ყოფილა წარმოდგენილი, რომლებზედაც ხარობდა ტროპირული მცენარეულობა, ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია გოდერძის წყებაში არსიანის ქედის აღმოსავლეთით კალთაზე გაქვავებული ტყე, ხოლო “კისათიბის” ტერიტორიაზე (ახალციხის რაიონი) დიატომიტის მაღაროში თევზების ანაბეჭდები.

მესამეულის ბოლოს და მეოთხეულის დასაწყისში ვულკანების ამოფრქვევებმა, დედამიწის ხშირმა რყევებმა და ზედაპირის აწევ-დაწევამ გამოიწვია ზღვის უკან დახევა, რის გამოც უნდა ვივარაუდოთ, რომ უღე ნაგების თავშესაფარი უნდა ყოფილიყო, რადგან ზღვის არსებობის დროს უდის ტერიტორია წყლით იქნებოდა დაფარული, ნაგების თავშესაფარი სადგომი შესაძლებელია ყოფილიყო მაღლობებზე – არსიანის, ეუშეთისა და ფერსათის მთების კალთებზე.

ზოგიერთის თვალსაზრისით უღე უცხოური წარმოშობის სიტყვაა, არც ეს შეხედულებაა სწორი: უღე ჩვენი აზრით უძველესი ქართული სიტყვიდან იღებს სათავეს, ეს არის “ყუღე”, რაც სადგომს, თავშესაფარს ნიშნავს (იხილეთ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი). სიტყვა ყუღე-ს დიდი ხანია აღარ ხმარობენ საქართველოში. ეს სიტყვა დაივიწყეს, მხოლოდ “ყუღა” მეგრულში, ჭანურში და ლაზურში გვაქვს ყუღეს სახით, იგი იქაც საცხოვრებელ სახლს-ბინას ნიშნავს, როგორც ვხედავთ მას ასო “ყ” დაუკარგავს, მისი ნაშთი ერთგვარი ხმოვნის სახით მაინც ისმის.

დღევანდელ სოფელ უდეში ყველა გვარს თავისი უბანი ჰქონია და თითოეული გვარი ერთ ოჯახად ცხოვრობდა (თითო ოჯახში 15-30 სულამდე), რასაც ჯალაბობას ეძახდნენ. მტრის შემოსევების დროს თითოეული გვარის წევრები ერთიანდებოდნენ და ერთ ბინაში (დარბაზში – დიდი ოდა) აფარებდნენ თავს. ხოლო მამაკაცები იარაღით იცავდნენ შესასვლელ კარს.

ძველად უდის მოსახლეობა ცხოვრობდა მიწურ ბინებში, რომლის კედლები ნაშენი იყო მხოლოდ ქვით, რომლის სისქე მეტრამდე აღწევდა, ზემოდან დახურული იყო დაუხერხავი მსხვილი ხე-ტყით, რომელსაც ზემოდან დაყრილი ჰქონდა ერთ მეტრამდე მიწა. უმეტეს ბინებს ფანჯრები ჰქონდა ზემოდან, რომელსაც ეწოდებოდა გვირგვინი და ბუხარში დატანებული ჰქონდა ცელი, რომ ბუხრიდან მტრის ჩამოსვლა შეუძლებელი ყოფილიყო. თითოეულ საჯალაბო ბინას ჰქონდა ორი გასასვლელი ბაკებით მეზობლებთან ან სხვა გვართან საჭირო შემთხვევაში დასაკავშირებლად. აი ასეთი ბინები წარმოადგენდა მტრისგან თავდაცვის საშუალებას

საბოლოოდ სიტყვები “ყურო“-ც და “ყუდე“-ც მეუდრო თავშესაფარ ადგილად უნდა მივიჩნიოთ, რომლისაგანაც უნდა იყოს სოფლის სახელი უდე წარმოშობილი.

ბატონი დ. კოკორიძე მცონდე (დოცენტი) უდისა და მისი მოსახლეობის წარმოშობას თავის წერილში არასწორად ასაბუთებს და სრულ უცოდინარობას ამჟღავნებს. მან, რომ უდის ისტორიული წარსული კარგად იცოდეს მაშინ არ დაწერდა იმას, რომ უდე და მისი მოსახლეობა შავშეთის – უდინების ტერიტორიიდან იყვნენ გადმოსული და ენად სარგებლობდნენ ალბანულ და აზერბაიჯანულ ტომებს, მან უნდა იცოდეს, რომ უდე უძველესი სოფელია მესხეთში და მისი მოსახლეობა (მესხეთის) ანუ ძველი (მუშკების) შთამომავლები არიან და უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ უდის ტერიტორიაზე.

1956 წელს სოფელი უდეში აღმოჩენილ განძს მაქანდარაშვილის ბინასთან მეცნიერები ძველი წელთაღრიცხვის მე-10-ე - მე-11-ე საუუკუნეებს მიაკუთვნებენ.

თუ ეს ასეა სოფელი უდე უძველესი წარმოშობის მჭიდროდ დასახლებული სოფელი უნდა იყოს. გადმოცემით დღევანდელი რაიონულ ცენტრს და რაიონს ძველად ადიგენს ეძახდნენ, რაც თითქოს ნიშნავს მდინარის ღამაზ ხეობას. ჩვენთვის გაურკვეველია, თუ ეს სახელწოდება საიდან ან ვისგან წარმოსდგება, თუმცა ამჟამადაც ღამაზი შესახედავია, დროთა განმავლობაში სახე იცვალა სახელწოდებამ და დარჩა ადიგენი.

სოფელი უდუ რაიონული ცენტრის – ადიგენის სამხრეთ-აღმოსავლეთ 10 კმ ზე მდებარეობს. მდინარე ქვაბლიანის მარჯვენა სანაპიროდან, ერუშეთის მთის გორაკ-ბორცვიან კალთებზეა შეფენილი, რომელსაც დასავლეთიდან (კიათხევის) ხეობა ჩაუდის და ციხის ქარაფოვანი სალი კლდე აკრავს სარტყელივით, ხოლო სამხრეთიდან უფრო მაღალი გორაკ-ბორცვიანი ზეგანი, რომელსაც მაღლიდან დაჰყურებს (ზაქორიები) საქორიები, ნანასერი და უდივლები, ხოლო აღმოსავლეთიდან სოფელ არაღს უერთდება, უდუ ზღვის დონიდან 1200 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ხანგრძლივი და საკმაოდ ცივი ზამთარი. იანვრის საშუალო ტემპერატურა არის 3-6 გრადუსი. ხოლო აფსოლუტური ერთეულები 25-28 გრადუსამდეც არის. ზაფხული ხანმოკლე და გრილია. ივლისისა და აგვისტოს ტემპერატურა +20-25 გრადუსამდე მერყეობს, ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს 550-დან 650 მმ-მდე. ნალექების მაქსიმალური რაოდენობა მოდის გაზაფხულზე (100მმ-მდე) ხოლო იანვარში – 30 დან 40-მდე. წლის განმავლობაში ნალექიანი დღეები დაახლოებით 130-მდე გვხვდება, მაგრამ ზაფხული მაინც ძირითადად გვაღვიანი იცის. თოვლი მოდის ნოემბრის III დეკადიდან თებერვლის ბოლომდე, რომლის სისქე 50სმ ფარგლებში მერყეობს, თოვლის არსებობის ხანგრძლივობა ხშირად 110 დღემდე მერყეობს, ქარბუქიანი დღეები იცის ზამთრის პერიოდში, თუმცა იგი იშვიათი მოვლენაა, ხშირად ზაფხულობით მაისის თვეში იცის წაყინვები. რის გამოც ზიანდება ხეხილის ბაღები და აღმოცენებული სხვადასხვა ერთწლიანი კულტურები. ასევე დიდ ზიანს აყენებს სას. სამ. კულტურებს სეტყვა, რომელიც არც ისე იშვიათია.

თუ მესხეთის ისტორიას თვალს გადავაავლებთ ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ძველად ეს ადგილი მყუდროდ დასახლებულ მხარედ ითვლებოდა. მაგრამ უამთა სიავემ მოსპო და ნაცარტუტად აქცია ბევრი სოფელი, ქალაქი, ციხე-მონასტერი და ეკლესია. მოსახლეობის დიდი ნაწილი მტერთა ბრძოლაში განადგურდა, ნაწილი მტერმა ტყვედ წაიყვანა, ნაწილმა თავი შეაფარა საქართველოს სხვადასხვა მხარეს, ამიტომ გაჩნდა თქმულება საქართველოში “მესხი მოვიდა მკვიდრი აყარაო”.

უმეტესობა გამაჰმადიანდა, ხოლო ნაწილმა კი დიდი ტანჯვა წამებით და ვაი-ვაგლახით შეინარჩუნა თავისი ქართული სახე, ენა და სარწმუნოება. სამცხის ერთეულმა სოფელმა თავიანთი ეროვნული მტკიცე ნებისყოფითა და გმირული ბრძოლებით დაიცვეს თავიანთი ეროვნული ღირებულება, რომელთა რიცხვებშია მრავალ

ჭირგადანახადი სოფელ უდის მოსახლეობა, რომელსაც თავისი მრავალსაუკუნოვანი ბრძოლებით, შეუდრეკელობით, უკუუგდიათ შემოსეული მტერი და მხურვალე ფურცლებით შეუვსიათ მესხეთის ისტორია. ამიტომ შემთხვევით როდის ეძახიან უდეს “ლეგენდებისა, მითებისა და გმირთა ბუდეს”.

ქართველ ხალხს აღმოაჩნდა დიდი შინაგანი ძალა, რომ გაეძლო ამ უდიდესი ქარშხლისათვის, რომელიც საუკუნეების მანძილზე საქართველო აზიის ქვეყნების საბრძოლო ასპარეზად იყო ქცეული. ადამიანს, რომ სასწაულისა სჯეროდეს, მაშინ ალბათ სასწაულად უნდა მიიჩნიოს ის ამბავი, რომ ქართველმა ხალხმა და მათ რიცხვში უდის მოსახლეობამ მესხ ხალხთან ერთად დღემდე მოაღწია.

მძიმე საშინაო პოლიტიკური ვითარების შედეგად სამცხე-ჯავახეთიდან 300-ზე მეტი სოფელი განადგურდა არაბთა ბატონობის პერიოდში. 735-738 წლებში მურვან ყრუს რომ დაუნგრევია და გადაუწვია საქართველოს სოფლები და ქალაქები, მათ შორის იგივე ბედი სწევია უდესაც, რასაც ადასტურებს უდის ტერიტორიაზე გათხრების მონაცემები.

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ 1235 წელს მონღოლები იპყრობენ საქართველოს. მანამდე კი ჩვენს ტანჯულ ქვეყანას 5-ჯერ შემოესია ხვარაზმის შაჰის შვილი ჯალ-ალ-ედინის რაზმი, რის შედეგადაც დასუსტებულ საქართველოს ადვილად იმორჩილებენ მონღოლი ნოინები – ჩორმაღანი, ჩაღატა, გიჩო და სხვა. მონღოლთა ბატონობის პერიოდში საქართველოში 700 სოფელი აღიგავა პირისაგან მიწისა. მონღოლთა ბატონობის შემდეგ ირანისა და თურქეთის 50 წლიანმა გაუთავებელმა ბრძოლებმა საქართველოს მიმარტ, თურქეთი – საქართველოს 100 წლიანმა ომმა ქართველი ხალხი განდგურების გზამდე მიიყვანა და მათ შორის ყველაზე მეტად სამხრეთ საქართველომ თავის მხრებზე გადაიტანა მუსლიმანთა სამსაუკუნოვანი ბატონობა. ამ ხნის მანძილზე მათ არა მარტო გაძარცვეს და დაარბიეს მოსახლეობა, არამედ მის დიდ ნაწილს მუქარით, ცეცხლითა და მახვილით მაჰმადიანობა მიაღებინეს.

ირანელი ისტორიკოსის ისკანდერ მუმშის ცნობით შაჰ აბასმა 1616 წლის ლაშქრობის დროს კახეთიდან ირანში 130 ათასზე მეტი ქართველი გადაასახლა. დღეს მათი შთამომავლები ირანის სხვადასხვა პროვინციებში ცხოვრობენ, ასეთი ბედი სწევიათ მესხეთ-ჯავახეთიდან წაყვანილ ტყვეებსაც, რომლებიც არდაბილის ოლქში დაუსახლებიათ, მათ შორის სოფელი უდიდანაც ბევრი ყოლიათ წაყვანილი და უდელებს

არდაბილის ოლქში საცხოვრებელ ადგილისათვის თავიანთი სოფელის სახელი “უდე” დაურქმევიათ. 1590-1595 წლებში, როცა თურქოსმალებმა საბოლოოდ დაიპყრეს სამხრეთ საქართველო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მოსახლეობის ნაწილმა მიატოვა სახლ კარი და გაქცევით უშველა თავს, ხოლო ზოგმა მამა-პაპის კერა ვერ მიატოვა. მესხეთის მოსახლეობის დიდი ნაწილმა, ისე როგორც უდის 60 სხვადასხვა გვარის 135 ოჯახმა, რომლებიც დარჩნენ თურქთა ტყვეობაში. იმ დროს თურქთა დამპყრობლებმა მესხეთის მოსახლეობის უძრავ-მოძრავი ქონება აღწერეს და შემდეგ “ვილაიეთებად”, ოლქებად და რაიონებად დაყვეს.

იმ პერიოდისათვის უდის მოსახლეობისათვის დაბეგრული კომლთა რაოდენობა შეადგენდა 135 ოჯახს და სოფელი იხდიდა გადასახადს (ისფენჯს) 30000 ახჩის რაოდენობით, როგორც ნატურით ისე ფულადადაც, მაშინ ერთი ქილა ხორბალი (დაახლოებით 3/5 კგ) შეფასებული ყოფილა 12 აღჩად. გადასახადი დაწესებული ყოფილა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზეც, მიქაზეც, წისქვილზეც, ყოფილა აგრეთვე საქორწილო გადასახადიც, რომლითაც იბეგრებოდნენ გასათხოვარი და დასაქორწინებელი ახალგაზრდები და ქვრივი ქალები.

თურქთა ბატონობის პერიოდში 1959 წლიდან 1828 წლამდე უდე დიდ რაიონულ ცენტრად ივლებოდა, შედიოდა ახალციხის “ვილაიეთში”, უდის რაიონში ამ პერიოდისათვის 58 სოფელი შედიოდა. უდე, მედიანი, ზემო და ქვემო ორჭოშანი, ირქა, ბოლაჯური, წყისე, ქვემო და ზემო მარელი, ზემო ზანავი ეკლესიითურთ, შუა ზანავი ანუ წინა ზანავი, გომარო, ლელოვანი, ქვემო ფარეხა, არალი, ღორძე მეორე, ყორაშენი, კახარეთი, ჩორჩანი, ყარათუბანი, სამყრე, ვალისონი, ხონა, დუნესი, დერცელი, საირმია, ჩორჩისი, სომეხთუბანი, ხურო, ხურა, ჭობაშენი, ჩოფაშენი, ავხერი, ზემო მოხე, ქვემო მოხე, კეხოვანი, ამხა, ჩანჩაფური, დიდი მლაშე, ზაზალო (საძალო), ძინძე ადგილით, უტყისუბანი, ნატენაანთ უბანი, წარბასუბანი, კორტუხეთი, ზართა, ოსიეთი ანუ ოსიძე, ზაკულეთი, ავაზანა, ევაბიჯვარი, ხერთვისი, სათლეღი, იალადი თლილი, ერემა, გორგამლაშე, ჩაირი უდის რაბათთან, პატრა მლაშე, არზნე, ქვემო ზანავი, გორგული, სოფელ ზარზმის ეკლესია, ტაძარო, ფლატესთან სოფელი, სმარზა სოფელ ზარზმასთან. თურქულ წყაროებში ვკითხულობთ: “ათაბაგმა ყვარყვარე III-მ ყიზილბაშების დახმარებით მოიპოვა გამარჯვება ათაბაგობის პრეტენდენტ მანუჩარზე, რომელმაც ყიზილბაშებს ოსმალები დაუპირისპირა ყიზილ აჰმედ ბეგის მეთაურობით. მანუჩარი

ქართველი ყიზილ აჰმედ ოღლისთან ერთად, რომელიც სულთან სეიმის ერთი ამირათაგანი იყო რუმიიდან საქართველოში ჩამოვიდა, რათა ყვარყვარესათვის ქვეყანა წაერთმია და მისთვის მიეცა (მანუჩარისათვის). “ყვარყვარე მათ შეება ყარაჯა-არდაჰანში და გაიმარჯვა”.

ცნობილია, რომ ყვარყვარე III-ის პერიოდში დიდ თურქობის დროსაც უდევდნენ რაიონული ცენტრი ყოფილა, რომელსაც განაგებდა ვინმე აზნაური “ანდრომანი”.

ჯერ კიდევ ოსმალეთი XV საუკუნის მეორე ნახევრიდან, სამხრეთ საქართველოში იჭრება და აქედან იწყება საქართველოს დაპყრობა, ორი აგრესიული სახელმწიფოს – თურქეთისა და ირანის გაუთავებელი ბრძოლები, ხოლო XVI საუკუნის 90-იან წლებში თურქები სამუდამოდ ეპატრონებიან სამხრეთ საქართველოს.

უღის ისტორიული ძეგლები

ჩვენს წინაპრებს ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში სოფლის დასავლეთით აუცილებლად ციხე, რომლის მიმდებარე ტერიტორიას დღესაც ხანდაკის სახელით მოიხსენებს მოსახლეობა (ხანდაკებს დღესაც ეძახის ხალხი ციხის მიმდებარე ტერიტორიებს, სადაც არის ამოთხრილი დიდი ორმოები, რომლებიც დახურული და შეხამებული იყო გარემოსთან, მტრის შემოსევების დროს მტერს გზას ორმოებისკენ აძლევდნენ, ორმოებში ჩაცვნილებს ზემოდან ქვებით ხოცავდნენ). აღნიშნული ციხე მიწისქვეშა გვირაბებით დაკავშირებული ყოფილა სოფლის ცალკეულ უბნებთან, რათა შემოსევებისაგან მოსახლეობას დაეცვა თავი, სოფელი უდევდნენ პერიოდში მდიდარი ყოფილა ისტორიული ძეგლებით, ამ მხარის ძეგლები, როგორც აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე წერს XIII საუკუნის მიწურულსა და XIV საუკუნეების ძეგლებია. მისი აზრით XII-XIV საუკუნეებში საქართველოს სამხრეთით ნაწილი დამოუკიდებელ სამთავროს წარმოადგენდა ადრე პირველ ბაგრატიონთა დროს (VIII-X საუკუნეებში) მთავარი პოლიტიკური და კულტურული ცენტრები უფრო სამხრეთით ტაოში იყო, ხოლო შემდეგ XIII-XIV საუკუნეებში ცენტრმა ჩრდილოეთით - სამცხეში გადმოინაცვლა, სამთავროს დედაქალაქად ახალციხე იქცა, ხოლო სასულიეროდ - აწყური”.

უღეში ეკლესიების უმრავლესობა XIII-XIV საუკუნეებს მიეკუთვნება, როგორც აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე ვარაუდობს, მაგრამ ეკლესიების ნაწილი კი VII-VIII და ზოგი უფრო ადრინდელი საუკუნეებისა უნდა იყოს, რომელთა შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ძველად უდეს შვიდი ეკლესია და ერთი ანტიკური პერიოდის ციხე ამშვენებდა, რომელსაც დასავლეთიდან სარტყელივით აკრავს მაღალი კლდე, ხოლო მის გასწვრივ “კიათხევის” ხევი ჩაუდის, რომელიც საძალოს ციხისა და ირმის ჭაღის მიდამოებიდან იკრებს წყალს.

სოფლის მკვიდრის, მკვლევარ ივანე მერაბიშვილის აზრით ციხე აგებული უნდა იყოს კერპთაყვანისმცემლობის პერიოდში, რადგან ციხის კარის ანაყოლში ქვაზე გამოკვეთილი ყოფილა ცხოველი, ცხოველის წინ კაცი, რომელსაც თავი დახრილი ჰქონია და ხელები გაშლილი, მის უკან ორი კაცი მდგარა გულხელდაკრეფილი.

მკვლევარი ივ. მერაბიშვილი ცხოველის წინაშე თავის მოხრას კერპთაყვანისმცემლობის პერიოდად მიიჩნევს და ვარაუდობს, რომ თავდახრილი კაცი ამ ციხის მშენებელი, ხოლო მის უკან მდგომნი მისი მხლებლები უნდა ყოფილიყვნენ და ეს თუ ასეა, მაშინ ივანე მერაბიშვილის აზრს უნდა დავეყრდნოთ და ვივარაუდოთ, რომ ციხე კერპთაყვანისმცემლობის პერიოდში უნდა იყოს აგებული.

მრავალსაუკუნოვანმა სეისმურმა და გარეშე ბუნებრივმა მოქმედებებმა ციხის დასავლეთის ციცაბო კლდოვანი მხარე დაანგრია, ხოლო ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე დაუცურებია და იგი ციცაბო ფერდობად გადაუქცევია, რომლის ტერასებზეც დღეს მოსახლეობაა დასახლებული, ხოლო გალავანი და გალავნის შიგნით მდებარე ნაგებობანი – სასახლე და ეკლესია ჟამთა სიავეს აღუგვია პირისაგან მიწისა და დღეს ციხის მიდამოები ისე გამოიყურება, თითქოს წარსულში იქ არაფერი ყოფილიყოს.

ჩრდილო დასავლეთის კლდის შვერილზე არსებული ბურჯი ამ რამდენიმე წლის წინ დაანგრია იქვე მცხოვრებმა ვანო გიგოლაშვილმა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ციხე საიდუმლო მიწისქვესა გვირაბებით დაკავშირებული ყოფილა სოფლის ცენტრალურ უბნებთან, ციხის დარბაზებიდან გამომავალი გვირაბები პავლე ბალახაშვილისა და სერგო ყულჯანიშვილის სახლების ქვეშ გავლით მიემართებოდა ერთი აღმოსავლეთით, მეორე ჩრდილო-აღმოსავლეთით და ეკლესიებს აკავშირდებდა.

ყულჯანიშვილი სერგოს სახლი ციხის სარდაფში შესასვლელ გზაზეა მოთავსებული, გზა კირის ხსნარის სქელი ფენით ყოფილა დაფარული და რიყის ქვით მოპირკეთებული, წარსულში მიწისძვრების გამო ჩანგრეულა ციხეში ყველა შესასვლელი გზები. გალავნის სამხრეთ კიდეში ორი ორმო იყო, რომლებიც სახლების მშენებლობის დროს ამოუვსიათ. ციხის სიღრმეში არსებული დარბაზები გამოყენებული უნდა ყოფილიყო სურსათის შესანახად და შიშიანობის დროს მოსახლეობის თავშესაფარად.

ციხე საიდუმლო გვირაბით დაკავშირებული უნდა ყოფილიყო დასავლეთით ხევთან, საიდანაც მოსახლეობა მარაგდებოდა როგორც სასმელი ისე ცხელი ბუნებრივი წყლით, რომელიც დაბლა ხევის პირას მამულაშვილების ბაღის თავზე დიდი ღოდის ძირზე გამოდიოდა, მაგრამ ამ ოთხი ათეული წლის წინათ ცხელმა წყარომ სხვადასხვა გზა ჰპოვა და დაიკარგა.

როგორც ივანე მერაბიშვილი თავის წერილსი წერს, უდის ციხის გალავანის სიგრძე 200, ხოლო სიგანე 500 ნაბიჯი ყოფილა, ჩვენდა საუბედუროდ, დიდი ხანია რაც ციხის ტერიტორიას დაეპატრონნენ ციხესთან ახლოს მცხოვრებნი და ციხის ტერიტორიაზე ააშენეს საცხოვრებელი ბინები, რის გამოც საიდუმლოებით მოცული ციხის მიდამოები გადათხარეს და რაც თვალთ იხედებოდა ზოგი დაანგრეეს და ზოგიც მიწაში დამარხეს.

როგორც ირკვევა, ციხის აღმოსავლეთ გალავანის კედელს ეკვროდა სავაჭრო მოედანი, ხოლო გალავანის შიგნით კი ყოფილა სასახლე და ეკლესია, რომელიც 1595 წლიდან თურქებმა ციხის გალავანში არსებული სასახლე გამოიყენეს ჯარის ნაწილებისათვის, ხოლო ეკლესია თავიანთ სალოცავ მეჩეთად გადააკეთეს.

“გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარის” II წიგნის 57-ე გვერდზე ვკითხულობთ: “ვაკუფი დიდებული ყურანის, საკითხავად უდის ციხის წმინდა მეჩეთში: ვენახი და ბაღი, საყანე მიწითურთ, ჩაირი და წისქვილი სახელად გურასფა აზნაურისა და უდის ციხეში მდებარე სახლები ახალციხის ჯარის მარჯვენა ფლანგის მოხალისის დევრიშ ალას მფლობელობაში მყოფი თანახმად სასამართლოს განაჩენისა ახალ დავთარში ჩაიწერა, რომ მას შემდეგ, რაც ზემოხსენებული ვენახის, ბაღისა და ყანის ყურუში და გამოსაღები მიეცემა მიწის პატრონს (დანარჩენი) სარგო დაიხარჯოს ზემოხსენებულ წმინდა მეჩეთში ყურანის მკითხველებზე.

ზემოდ აღნიშნული ფაქტები მეტყველებს, რომ უდის ციხე დიდი თურქობის დროს ყოფილა მოქმედი, სადაც თურქებს ჩაყენებული ჰყოლიათ ციხის სასახლეში ჯარი, ხოლო ციხეში არსებული ეკლესია – მეჩეთად (სალოცავად).

უბველეს პერიოდში ქვაბლიანის ხეობაში უდე დიდი სავაჭრო ცენტრი ყოფილა. ამას ადასტურებს უდის ციხის რაბათის სახელწოდებაც (რაბათი სპარსული სიტყვაა და ნიშნავს გამარგებულ სავაჭრო ცენტრს). უდეში ეკლესიებისა და გვართა სიმრავლე მივითითებს იმაზე, რომ იგი დიდი ვაჭარ-ხელოსანთა პუნქტი უნდა ყოფილიყო.

1590-1595 წლებში, როცა თურქ ოსმალებმა დაარბიეს და გაძარცვეს სამხრეთ საქართველოს მოსახლეობა, იმ დროს მესხეთის სხვა სოფლების მოსახლეობასთან ერთად უდის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მიატოვა მშობლიური სოფელი და გაქცევით თავს უშველა. ხოლო მამა-პაპისეული კერა ვერ დათმო 64 სხვადასხვა გვარის 135 ოჯახმა და დარჩნენ თურქთა ტყვეობაში.

ვინ იცის თურქ მოხელეთა რამდენი ჩაგვრა, ტანჯვა-წამება და დამცირება გადაუტანიათ ჩვენს წინაპრებს თითქმის სამი ასეული წლის მანძილზე.

თბილისიდან სამხრეთ საქართველოსაკენ მომავალი გზები გადიოდა მტკვრის, ფოცხოვის, ქვაბლიანის ხეობით, რომელიც აკავშირებდა ბიზანტიის ქვეყნებთან.

უდიდან შავშეთისკენ სავაჭრო, საქარავნო და საფოსტო გზის არსებობის უტყუარ ფაქტად ისიც უნდა მივიჩნიოთ, რომ ირმისჭალის სამხრეთ დასავლეთით მყუდრო ტყიან ადგილას დღემდე შემორჩა ქვებით გაკეთებული რამდენიმე ხალხამი (ხალხამი ნიშნავს პირუტყვის დასამწყვდევე ადგილს). გზად მიმავალ თუ მომავალ ვაჭრებს ღამე აქ უნდა გაეთიათ, ჯორებს კი რომელთაც საქონელი მიჰქონდათ, როგორც ჩანს ამ ხალხამებში ამწყვდევენ, რის გამოც ამ ადგილს აქედან უნდა აეღო ჯორების ხალხამის სახელი. ჯორების ხალხამიდან გზა საჩხერეზე გავლით შედიოდა ფორნის კარის დელეში, რომელიც ვიწრო ხეობის დაბოლოებაში მდებარეობს.

ძველ ქართულში ფორანს ფარდიან ურემს ეძახდნენ, ხოლო კარი კი ვიწრო ხეობიდან გადასასვლელი ან შემოსასვლელი ადგილია. უნდა ვივარაუდოთ, რომ უდის ციხის ყელიდან ამ გზით მიდიოდა სავაჭრო გზა.

უდის ორი ეკლესია და ერთი სამკვიდრო (რომელსაც ნასაყდრეებს ეძახიან) არაბთა შემოსევების დროს მურვან ყრუს დაუნგრევია. მოუკლავთ სტეფანე შახბურაძე (უდის ბატონი), შუშანქალას ეკლესია აუშენებია ბატონ ხურციძის ასულს, სტეფანეს მეუღლეს შუშანას.

ივანე მერაბიშვილი წერს: ამით ვამტკიცებ, რომ ეს ეკლესია არის აშენებული შახბურაძეების ცოლისაგან ქმრის სული შესანდობარად მურვან ყრუს აოხრებამდე. ავტორის ცნობით წარწერიანი ქვა დაკარგულა მის მახლობლად სახლების მშენებლობის დროს. თუე ეს ასეა, მაშინ შუშანქალას ეკლესია VI-VII საუკუნეების ძეგლი უნდა იყოს.

შუშანქალას ნანგრევი ეკლესიის აღმოსავლეთით დაახლოებით 200 მეტრ მანძილზე მდებარეობს პატარა ეკლესია, რომელიც წმინდა “სერტის” სახელს ატარებს და დღემდე დაცულია, შიგ არავითარი მხატვრობა არ არის, ვარაუდობთ, რომ აღნიშნული ეკლესია IV-V საუკუნეების უნდა იყოს. უდის I საშუალო სკოლის აღმოსავლეთის ძირს ყანაში 15 მეტრში პატარა გორაკზე უძველესი პერიოდის ეკლესია მდგარა, ჩვენი წინაპრები ამ ადგილს “ნასადღრევს” ეძახიან დღესაც. 1983 წლის 11

მაისს ნასადღრევის ჩრდილო დასავლეთის ფერდობზე გზის გაყვანა-გაფართოების დროს ბუდლოზერმა გამოაჩინა სამარხი, რომელიც ადამიანთა ძვლებით იყო მოფენილი. სამარხს გვერდები ამოშენებული აქვს რიყის ქვით, ხოლო ზემოდან დახურულია ფიქალი ქვით. გასული საუკუნის ბოლოს ივანე მერაბიშვილს ამ ეკლესიის ნანგრევებში უნახავს ქვა, რომელიც დამტვრეული იყო, ამ ქვაზე გამოხატული ყოფილა ჯვარი, რომლის ქვეშ წარწერა ყოფილა – “შახბურ”, რადგან ქვა დამტვრეული ყოფილა. “შახბურ”-ის გარდა სხვა ვეღარ ამოუკითხავს. მკვლევარის აზრით უდის ბატონის დინასტიის ოჯახის წევრები უნდა დამარხულიყვნენ ამ ეკლესიაში, ხოლო ეკლესიის გარედან ფერდობის ირგვლის უდის ძველი მოსახლეობის სამარხები უნდა იყოს. ჩვენი აზრით “ნასადღრევის” ირგვლივ არამარტო ამჟამად აღმოჩენილი სამარხია, არამედ ამგვარი სამარხები კიდევ ბევრი სხვა უნდა იყოს

ეს შესანიშნავი ეკლესიები: “შუშანქალა”, “ნასადღრევი”, ბოგირზე მამუკაშვილების ბაღში, მის აღმოსავლეთით ათოშივლების ბაღის ტერასში, ციხეში, ვერდოებში, და ამჟამად არსებული დიდი ეკლესიის ადგილას მტრების შემოსევებმა აღგავა პირისაგამ მიწისა.

ამჟამად არსებული კათოლიკური ეკლესიის ადგილას ყოფილა შედარებით პატა მართლმადიდებლების ეკლესია. 1900 წელს უდის მოსახლეობას ეკლესია დაუნგრევია და მის ადგილას 1901-1912 წლებში აუგიათ ეს დიდებული ეკლესია, რომელიც ალბათ საქართველოში სიდიდით მე-5-ე შენობა იქნება და მარიამის მიძინების სახელს ატარებს. ჯემალ ჯაყელის წიგნში “სფინქსი სიბრძნისა” (გვ. 107) ვკითხულობთ შემდეგს: “დაიწყო მესხეთზე საბედისწერო შემოტევა, ქვეყნის საზღვარმა აჭარა-მესხეთის ალპურ ზონას გადაუარა, გოდერძის მამის (ჟამთაბერ გუჯარიძის) თანხლებიბით უდეს ჩავიდა გურულ-აჭარელთა დარჩეული რაზმით – მესხეთისაკენ მთავარი დარტყმის ხაზზე უდის დასახმარებლად.

მამულაშვილისა და ხმალადის მიერ მეფე გიორგის გამოსხნა ტყვეობიდან ახალციხის ციხიდან.

მიხეილ კეკელიძის რომანიდან “ბრწყინავლე ვარსკვლავის მაძიებელი” გვ. 392-394 ლაპარაკია ახალციხის ციხიდან მეფე გიორგის გამოსხნაზე: “ იმ ღამეს ქართველ მეციხოვნეებს თვალზე რული არ მიჰკარებიათ. თავი ერთ განაპირა საკანში მოეყარათ და ჩუმად თათბირობდნენ:

- როდის გადაწყვიტა მეფემ სტამბოლს გამგზავრება? - იკითხა ერთმა, რომელიც უფროსი ჩანდა.
- დღეს ულაპარაკიათ ფაშასთან.
- მერე საშიში რა არის? მესხი დიდებულებიც ხომ ურჩევდნენ ხონქთარს დამეგობრებოდა და მისი წყალობით იმერეთიც და ქართლიც დაეკავებინა!
- ხონქთართან ვერ ჩააღწევს, გზაში მოკლავენ, თვითონ მოვისმინე, ჩემი ყურით, რაც სალიმფაშამ ენვერ ბეის უთხრა.
- რა ვქნათ?
- მეფე უნდა გავაპაროთ.
- კარგი, შუადამისას სამხრეთის კედელთან იყავი. ცხენები ქალაქ გარეთ გყავდეს. მეფეს სამშვიდობოს გაიყვან.

მოსაუბრეს არაფერი უპასუხნია. მაშინვე გამოემშვიდობა წარმოსადგე შავგვრემან ვაჟკაცს.

ციხეს ეძინა. ეძინა მეფესაც. გიორგი სულაც არ ჰქონია გამზრახული სტამბოლს გამგზავრება ან თათრის რჯულის მიღება, მხოლოდ სალამის შეშინება უნდოდა. საბედნიეროდ მიზანს სწრაფად მიაღწია. ამის შემდეგ ფაშას უფრო ჩქარა მეოშორებინა საშიში ტყვე. შუადამე ახლოვდებოდა. ვიდაცამ გიორგი მეფე ფრთხილად გააღვიძა

- ვინ ხარ? – წამოიწია გიორგიმ და მაშინვე ტანსაცმელს მიწვდა.
- მესხი ვარ ბატონო! – ქართულად გასცა პასუხი.
- იანიჩარი?
- როგორ გითხრათ, ადამიანები ყველგან არიან. თქვენს ბედზე მე სწორედ ქართველი იანიჩარი მელაპარაკა. მენდეთ და რაც გითხრათ შეასრულეთ.

- რა გინდა? როგორ ვენდო კაცს, რომლის სახელიც არ ვიცი? – კვლავ იკითხა მეფემ
- გეტყვით, ბატონო, მაგრამ ახლა თუ ღმერთი გწამთ გამომყევით. საღიმ ფაშამ და ენვერ ბეიმ ხუმრობა არ იციან, როცა საქმე მათ სიცოცხლესა და სიმდიდრეს ეხება.

გიორგი შეყოყმანდა

- მითხარი ვინ ხარ? – ჰკითხა მოსულს
- დროს ნუ კარგავთ, ბატონო, მეც დამღუპავთ და თავსაც დაიღუპავთ.

ამ სიტყვებით სტუმარი კარისაკენ მიტრიალდა. “მოხდეს. რაც მოსახდენია, ერთხელ დაბადებული ერთხელ მოკვდება”. – გაიფიქრა მეფემ და უცნობს ფეხდაფეხ მიჰყვა. ციხის ქონგურზე შედგნენ. იქ გიორგიმ საგანგებოდ დანაგრებულ საბლეს ჩასჭიდა ხელი.

- დაეშვიტ ბატონო! – ჩურჩულით უთხრა მხსნელმა.
- მითხარი ვინ ხარ, რომ ოდესმე მადლი გადაგიხადო!
- ქართველი ვარ!
- სახელი არ გაქვს?
- მერე, ბატონო, ახლა მაგის დრო არ გახლავთ. გზა დამილოცნია!

გიორგიმ უფროსკულში ჩაიხედა და ფრთხილად დაჰყვა თოკს. ის იყო მიწას ფეხი დააკარა, რომ ჩურჩული მოესმა: ჩქარა მომყევი ბატონოშვილო. გიორგი უკვე დარწმუნდა, რომ ღალატი აღარ იყო მოსალოდნელი. და მეგზურს სწრაფი ნაბიჯით გაჰყვა.

ერთი საათის შემდეგ ქალაქს საკმაოდ გასცილდნენ. მეგზური დელეში ჩავიდა და იქიდან ცხენები ამოიყვანა. ერთხანს ცხენებით იარეს და მიადგნენ რომელიღაცა სოფელს. მეგზურმა მხოლოდ აქ ამოიღო ხმა და მეფეს უთხრა:

- აი ბატონო, ამ სოფელში მახარე გულბატაშვილი იკითხეთ, ჩემის სახელი უთხარით და მასპინძლობასაც ის გაგიწევს. სელიმ ფაშას საბრძანებელს უკვე გამოვცდით!
- აგრე ვიზამდი, მაგრამ შენი სახელი რომ არ გითქვამს?
- მე ზაქარია ვარ, სოფელ უდიდან, მამულაშვილი. ის ვიღა იყო საბოლოოდ ციხიდან რომ გამომიშვა?

- ისა, შენი ჭირიმე დოღენჯი ხმალაძეა, ძალიან კაი გულის კაცი.

გიორგიმ ჯიბეები მოიქექა, უნდოდა რამე სამახსოვრო საჩუქარი მიეცა გამყოლისათვის, მაგრამ არაფერი აღმოაჩნდა. განშორების წინ ზაქარია მამულაშვილს ქუდი სთხოვა რომ დაეთმო. ზაქარიამ მაშინვე მოიხადა ქუიდ და მეფეს მიაართვა. გიორგიმ თავის ქუდი მამულაშვილს დაახურა, თვითონ კი იმისი აიღო და სთქვა:

- ჩემდა სამახსოვროდ გქონდეთ შენც და დოღენჯი ხმალაძესაც. უღვაშთან ერთად ქუდიც პატიოსნების ნიშანია, თუ ჩემი ავკაცობისა და ქვეყნის ღალატისა გაიგოთ რაიმე, ქუდი ფეხქვეშ გათელეთ და თქვი: ღმერთო ასე გათელე გიორგის ვაჟკაცობა. და სიცოცხლეო.

- ვეცდები თქვენი თავდადება დაგაფასო.

იმავე ღამეს გამთენიისას მეფე გიორგი სოფელ სლესას მივიდა. (ახალციხის რაიონი, სადაც დახვდნენ ზიკილიდან მოსული დედოფალი ხორეშან, რძალი თინათინი, ძმისწულები: ქახოსრო, ვახტანგი, დომენიკი, ისე და სვიმონი, სულხან ორბელიანი, გივი ამილახვარი და მისი თანამეცხედრე თამარ ბატონიშვილი, მრავალ დიდებული და ათასამდე მხედარი, რომელიც სალაშქროდ იყვნენ აღჭურვილნი.

ასე იხსნა მეფე გიორგი სიკვდილისაგან უდელმა ზაქარია მამულაშვილმა და ახალციხელმა დოღენჯა ხმალაძემ

არსენა მარაბდელი უღეში

“არსენამ მეორეჯერ გაახილა თვალები და გაოცდა: მას ისევ გაახსენდა ყველაფერი, მაგრამ თავისი ახალი სამყოფელი ვერ იცნო. ბნელი სარდაფის მაგიერ ახლა სუფთა ოთახში იყო და თავთ მომღიმარე მაგდანა ედგა.

- სადა ვარ ძალო? – დაბალი ხმით ჰკითხა მარაბდელმა
- ახალციხის მახლობლად, სოფელ უღეში, ბარიაშვილის სახლში, მიუგო ნაქვრივალმა, - ახალციხეს ფათერაკი მოგველოდა, გიგოლამ რაღაც გაიგო, მაგრამ თამარაშვილმა დროზე აგვაცდინა ხიფათი და აქ გადმოგიყვანა”

მიხეილ ჯავახიშვილი “არსენა მარაბდელი” ტაფი XII, გვ. 465 1955 წელი

მოულოდნელი შეხვედრა

ირანელი ისტორიკოსის - ისკანდერ მუნშის ცნობით, შაჰაბასმა 1616 წლის ლაშქრობის დროს კახეთიდან ირანში 130 ათასზე მეტი ქართველი გადაასახლა. დღეს მათი შთამომავლები ირანის სხვა და სხვა პროვინციებში ცხოვრობენ. საუკუნეებმა ბევრს დაუკარგა ქართველის სახე და იერი, მაგრამ ზოგმა დღემდე შეინარჩუნა მშობლიური ენა და ზნე-ჩვეულება. ფერეიდანში არის სოფლები – მარტყოფი, ჩულურეთი, ნინოწმინდა, თელავი და სხვა.

სპარსეთში სოფელი უდევ ყოფილა. დღევანდელი ადიგენის რაიონის სოფელ უდიდან მოსახლენი აუყრიათ და გადაუსახლებიათ. მათი შთამომავლები უნახავს მეფის (რუსეთის) არმიეს ყოფილ ჯარისკაცს ადიგენის რაიონის სოფელ არილს მკვიდრს პეტრე ვარდიძეს.

1914 წელს იგი სპარსეთში მოხვედრილა, მასთან ერთად იყვნენ თანასოფლელები: იორდანე ბათმანაშვილი, სიმონ ბათმანაშვილი და ლევან აფრიამაშვილი. აი რას გვიამბობს პეტრე ვარდიძე.

ჩვენ ქალაქ არდებილში ვიდექით, ირანის ერთ-ერთ სავაჭრო-სამრეწველო ქალაქში, ცხენებს საკვები შემოაკლდათ და მის შესაძენად სოფლებში წავედით ნარიმანოვის მეთაურობით, რომელიც წარმოშობით თბილსელი იყო. მან კარგად იცოდა ქართული, რუსული, აზერბაიჯანული და სომხური ენები. ქალაქ არდებილიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით წავედით. გავიარეთ ორი სოფელი, მაგრამ ვერაფერი ვიშოვეთ, და გზა განვაგრძეთ, მესამე სოფლის შესასვლელში, გზის პირას წყარო იყო და იქით გადავუხვიეთ. წყაროსთან ქალებს მოეყარათ თავი. ქართული ლაპარაკი რომ გავიგონე ყურებს არ დავუჯერე, სახტად დავრჩი: მაშინვე ეს ამბავი ნარიმანოვს ქართულად გუთხარი, ჩვენი ლაპარაკის გაგონებაზე ქალები ცენტრისაკენ გაიქცნენ, ათიოდე წუთში თითქმის მთელი სოფლის მოსახლეობა ჩვენსკენ მორბოდა, წინ მოუძღოდა მაღალ-მაღალი შუახნის კაცი ალბათ სოფლის თავკაცი. მოსულები თავდახრით მოგვესალმნენ, ჩვენს მიერ თავკაცად მიჩნეულმა თქვა:

- ცუდი განზრახვით როდი მოვსულვართ, თავს ვუხრით დიდი საქართველოს წარმომადგენლებს.

- ჩვენი წინაპრები მესხეთიდან არიან ტყვეთა ნაწილი შაჰის ლაშქარში ჩაურიცხავთ, ნაწილი – მონებად გაუყიდიათ ირანის ბაზარზე, ნაწილი კი დაუსახლებიათ სხვადასხვა მხარეს, მათ შორის არდებილის ოლქშიც. არდებილის ოლქში ახლაც არის ბევრი ქართული სოფელი, ხოლო ჩვენი სოფლის დღევანდელი მცხოვრებელების წინაპრები სოფელ უდიდან ყოფილან. ამ სოფელსაც უდუ დავარქვით და ენაც შევინარჩუნეთ.

როცა მასპინძელმა გაიგო, რომ მე უდის მეზობელი სოფლიდან ვიყავი, მღელვარებისაგან თავი ვერ შეეკავა და აცრემლებული გადამეხვია.

- მამაკაცს ასეთი საქციელი არ შეეფერის, მაგრამ ჩემს მდგომარეობაში კაცს ბევრი რამ ეპატიება - მითხრა მან. მერე თითქოს უცნაური, მაგრამ მის პირობებში გასაგები წინადადება შემომთავაზა.
- ორი ქალიშვილი მყავს, დამერწმუნეთ, რომ ღამაზები არიან, აირჩიე ერთ-ერთი და ცოლად შეირთე. უცოლო კაცი ხარ, არ მინდა სამარეში ისე ჩავიდე, რომ ჩემი ოჯახის ერთი წევრი მაინც სამშობლოში არ მეგულებოდესო, - მართლაც მშვენიერი ქალიშვილები ჰყავდა, მაგრამ ჯარისკაცს აბა სად წამეყვანა ცოლი?!

სოფლის თავკაცმა მოსაწონი მასპინძლობა გაგვიწია, იმ დამეს არ გაგვიშვა, რადგან 30 კმ-ზე სახიფათო გზა გვქონდა გასავლელი. მეორე დღეს ჯორ-აქლემები დაგვიტვირთეს ქერით უფასოდ და გაგვისტუმრეს:

შენი ვაება წინა მიდგეს
 სოფელი განაწამებო,
 საუკუნეები იტანჯე
 წუთებს რად ითვლი წამებო.

უდის ეშხით ვარ ანამღერები.
 რა დამავიწყებს პირველად ნახულს
 უდის მიდამოს თითქმის ნასახლარს
 და დღევანდელ დღეს, გულების ზეიმს,
 სახლების მწკრივებს, ჩემს თვალწინ ნაზარდს

მე ამამღერა უდის მშვენებამ,

ტრფობით დავდნები როგორც სანთელი,
კულტურის კერა ამადლებულია
ვით დამელიოს მასზე სათქმელი.

აღბათ მართლა ვარ შეყვარებული
ამ ხალხის ლხენა აბა რად მათრობს?
ვღგევარ, გიცქერით, ასე მგონია:
ხეთა შრიალიც თქვენზე კარგს ამბობს.

ვერ აშინებდა წინაპართ თქვენთა
გადამთიელის ბოროტი რწმენა,
ამიტომ იყო, რომ ამ სოფელში
მტერმა ვერ მოსპო ქართული ენა.

დგას ოქროს ციხე, ამაყად მხედი.
გაპყურებს ზარზმის ტაძრის გაღაგანს
და ცოცხლდებიან მოგონებები,
თუ რამ დაიხსნა მოყვრის ამაღა.

როგორც ვარსკვლავი უღრუბლო ცაზე
ისე ანათებს კულტურის სახლი
შეხედეთ, დატკბით, გუილოთ იხარეთ,
დალოცეთ ჭერი შენობის ახლის.

მომილოცნია სოფელი ჩემო,
შენზე ვიმღერებ აწ და მარადის,
შენმა სახელმა იდიდოს ყველგან
მეგზური იყოს ტატოს მერანის შეითნიშვილი

წარმოთქმულია უდის კულტურის სახლის გახსნასთან დაკავშირებით
1968 წელს.

1904 წელს ზ. ჭიჭინაძე წერს სამაგალითო ადამიანი სტეფანე კონსტანტინე ზუბალაშვილის შესახებ:

“მესხეთში, ანუ ახალციხის ბაზარში ქართველთ რიცხვი ერთობ გასაჭირ მდგომარეობაში ჩავარდა, ხალხი გამრავლდა, მათ არა აქვთ საკმარისი მიწა – მამული, ამის გამო მრავალ ქართველმა გლეხმა არტაანისა და გუმბრისაკენ იწყეს გადასახლება. ამ გარემოებას პატივცემულმა პატრმა დონ აბრიელ ასლანიშვილმა ყურადღება მიაქცია და მესხეთის სოფელ უდიდან რამდენიმე კომლი ქართველი კათოლიკე გლეხებისა გორში გადმოასახლა და დაასახლა საბატონო და ეკლესიის მიწებზე. ახლად გადმოსულ გლეხებს საქმე ძლიერ გაუჭირდათ, მაგრამ რას იზამდნენ, გარემოებას უნდა შეჰკუებოდნენ, ამ ახლად მოშენებულ სტეფანე კონსტანტინეს ძემ 1000 მანეთი გაუგზავნა და დაავალა, რომ ამით მათთვის ოთხფეხი საქონელი ეყიდათ. საქონელი უყიდეს, მათს ლოცვას და მადლობის გადახდას საძღვარი არ აქვდა, ყოველთვის სტეფანესა და მის ყმებს ლოცავდნენ”.

1904 წლის დასაწყისში უდის ეკლესიის მშენებლობის კომიტეტმა გამოყო კომისია, რომელსაც უნდა შეეძინა ეკლესიის სახურავი. კომისიის შემადგენლობას ბორჯომში შემთხვევით შეხვდა სტეფანე ზუბალაშვილი, რომელმაც გაიგო რომ უდელეები ეკლესიის სახურავის შესაძენად მიდიოდნენ.

ს. კ. ზუბალაშვილს საუბარში უთქვამს უდელეებისათვის: “ მე თქვენ ეკლესიისათვის ცინკის სახურავს გამოგიგზავნით უსასყიდლოდ, მხოლოდ თქვენ ეკლესიის ზომები მომეცით და ბოლოს ს. ზუბალაშვილმა დაარწმუნა უდელეები, რომ ისინი მალე მიიღებდნენ ეკლესიის სახურავს ბორჯომის სადგურში.

1904 წლის 13 აპრილს ს. ზუბალაშვილს ზ. ჭიჭინაძესთან საუბარში უთქვამს: “უდის ეკლესიის ამშენებლეთა კომიტეტს ვაცნობე, რომ თუნუქი და ზარი ბორჯომის სადგურშია და გატანა შეგიძლიათ”. ასე მიიღო სოფელ უდის მოსახლეობამ ეკლესიის სახურავი (ცინკა) და დიდი ზარი საჩუქრად ძმები ზუბალაშვილებისაგან.

აღნიშნული დიდი ზარი 1942 წელს უდის მკვიდრმა იაკობ სარაშვილმა ჩამოხსნა და ჩააბარა სახელმწიფოს გასადნობად.

მესხი კომუნარი ბიჭის ამბავი

უღის მკვიდრი კოტე მღებრიშვილის რევოლუციური ცხოვრება, მისის ბაბუა აბელ მღებრიშვილი სასწავლებლად წასული იყო პეტერბურგში, სადაც დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი და იქვე დარჩა სამხედრო სამსახურში. აბელმა გენერლობამდეც კი მიაღწია. იგი იყო დემოკრატი, რევოლუციონერების მომხრე. ბიჭი კოტე იყო აბელის შვილიშვილი, რომლის მამასაც ალექსანდრე ერქვა, კოტეს მამა იყო ცნობილი მსახიობი და რეჟისორი, მას ცოლად ჰყავდა რუსი მომღერალი ქალი ვიქტორია ჩევანი. საბჭოთა მთავრობამ ისინი თავის სამსახურში გამოიყენა – ალექსანდრე მღებრიშვილს დაავალა შეექმნა ჰეროიკული თეატრი და სამსახური გაეწია მუშათა კლასისათვის, რევოლუციისათვის, მართლაც მან შექმნა თეატრი, სადაც მთავარი მოქმედი აგიტატორები იყვნენ ცოლ-ქმარი და შვილი – კოტე. კოტე უნიჭიერესი ბავშვი იყო და ზეპირად იცოდა რევოლუციური ლექსები, გამოდიოდა დედასთან ერთად თეატრში და ხალხში ეწეოდა რევოლუციისათვის სასარგებლო აგიტაცია-პროპაგანდას. თეთრგვარდიელებმა კოტე ტრამვაის ქვეშ ჩააგდეს და იგი გარდაიცვალა. პეტროგოროდის რევოლუციური საბჭოს დადგენილებით მისი ნეშტი წითელ დროშაში გაახვიეს და მოათავსეს კუბოში და დამარხეს მარქსის სასაფლაოზე წარწერით: “პატარა არტისტ-აგიტატორს კოტე მღებროვ-ჩეკანს 1913-1922”.

მამია ვაშაკიძის პოემას (მესხი კომუნარი ბიჭის ამბავი) წამმდგარებული აქვს ზემოთ მოყვანილი მთლიანი ტექსტი. იხ. გაზეთ “განახლებული მესხეთის” 1963 წლის 19 მაისის ნომერი

ბერობანა თუ ყვენობა

ძველი მესხები, ყვენობის სახელით იცნობდნენ თათარ-მონღოლთა პერიოდის სანახაობას, რომელსაც ახლა “ბერობანას” ვეძახით, XX საუკუნის დასაწყისიდან თანდათან დაივიწყეს ყვენობა და მონღოლთა ჯარების მეთაური ნოინი – “ბერად” მონათლა მაყურებელმა თავისი გარეგნული ჩაცმულობისა და ყელზე შებმული სამკაულების გამო. “ბერობანას” შესახებ ბევრი დაიწერა, განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორ დიმიტრი ჯანელიძის გამოკვლევები. “განახლებულ მესხეთში” გამოქვეყნდა შ. რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის გივი ჯაოშვილის ნარკვევი “უდის ბერობანას ისტორიისათვის”.

ამასთან დაკავშირებით გვინდა ჩვენი აზრიც გავუზიაროთ მკითხველს. პირველ ყოვლისა, იბადება კითხვა, რატომ სძარავს ხალხს, რატომ სცემს ხარკის “ურჩ” გადამხდელებს ბერი? ან რატომ იტაცებენ ბავშვებს, ქალებს და ბერის ბრძანებით ჯარისკაცების პროდუქტები რატომ გამოაქვთ ძაღად სახლიდან? ვფიქრობთ, “ბერობანას” არცერთი მონაწილე ასეთ სისაძაგლეს არ უნდა ჩადიოდეს, იგი რაღა ბერია თუ სახლის მძარცველი და ამაწიოკებელი იქნება? ჩვენ უდაოდ მიგვაჩნია, რომ ხალხი ფაქტიურად ყვენობას ანსახიერებს და ჩვენ მას “ბერობანას” ვეძახით.

ყოველწლიურად, თებერვლის თვეში “ყველიერის” ბოლოკვირია ადიგენის, ახალციხისა და ასპინძის ზოგიერთ სოფელში, კერძოდ უდეში, არალში, ვალეში, ხიზაბავრაში, ვარტავში და სხვაგან ტარდება მტერზე გამარჯვების ტრადიციული დღესასწაული ყვენობა (ბერობანას სახელწოდებით), რომელიც ასახავს მესხეთში თათარ-მონღოლთა ბატონობის უკანასკნელ პერიოდს.

უდეში და არალში მთელი ორი კვირის მანძილზე იმართება ჭიდაობა, სადაც სხვადასხვა მხრიდან მოსული ფალავანები ერკინებიან ერთმანეთს. ამ დროს საჭიდაოს უკრავს მედუდუკე, მედოლე და სალამურზე დამკვრელი.

თავისუფალი ჭიდაობის მოყვარულები ქვაბლიანის სოფლებიდან და ძველად კი ფოცხოვიდანაც მოდიოდნენ უდეში. ჭიდაობის უკანასკნელი დღე დიდმარხვის დადგომის წინა შაბათს, ჭიდაობის შემდეგ უდეში შუშანქალას ნანგრევი ეკლესიის წინ და არალში ტატალაშვილების კალოებზე, ფერხულს გააბამდნენ და მკლავ-მკლავ

გადაჭლობილი იწყებდნენ წრიულ საფერხულო ცეკვას და თან მღეროდნენ “მუმლი მუნასაო”. ფერხულის თამაშით რომ გულს იჯერებდნენ, შემდეგ იწყებდნენ სართულებიან ცეკვას “სამყრელოს” და თან მღეროდნენ.

“სამყრელო, სამყრელო
ძირს ჩამოდი სამყრელო,
ნუგეშ-ნუგეშინია
ქვეშ ბუმბული გიგია.

როგორ არ გვეშინია
ცაში ბეწვით ვკიდივართ
ძირს ჩამოვალთ სამყრელო
მონღოლები არ ჩანან
საქართველო დიდია.

ამ ორ სართულიანი საფერხულო საცეკვაოს მაშინ ერთგვარი დაზვერვითი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენი წინაპრები თან ცეკვავდნენ და თან მტერს იარაღასხმული ხვდებოდნენ.

ჭიდაობა და საფერხულო თამაშობებები უხსოვარი დროიდან მოდის როგორც უდემი, ისე მესხეთის სხვა სოფლებში და ამით მთავრდებოდა ეს გაზაფხულის ღამაში და შესანიშნავი ტრადიციული დღესასწაული, ხოლო ღალონი და ორსართულიანი ცეკვა “სამყრელო” კი მონღოლთა შემოსევის პერიოდიდან იწყება. ამას მიგვანიშნებს ლექსის ბოლო ტაეპი: “ძირს ჩამოდი სამყრელო, მონღოლები არ სჩანან”.

მონღოლები მთელი სამი საუკუნის მანძილზე აწარმოებდნენ ბრძოლას აზიისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების წინააღმდეგ. დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობას სასტიკად უსწორდებოდნენ და დიდძალ გადასახადებს ახდევინებდნენ: ანგრევდნენ ციხეებს, ეკლესიებს, ქალაქებს, სოფლებს და უწყალოდ ხოცავდნენ უდანაშაულო ადამიანებს. დაპყრობილი ქვეყნების გაძარცვის შემდეგ, გადადიოდნენ მეორე ქვეყანაში და ასე მოძრაობდნენ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ.

“მონღოლთა ლაშქარს სარლობდა ოთხი ნოინი – ჩორმაღანი, ჩაღატა, ოისური და ბიჩოი”. ქართველი ისტორიკოსის სიტყვით ეს ნოინები “ორმოცი ათასითა კაცითა და დედაწულითა მოვიდეს ქვეყანასა აღმოსავლეთისასა”. შემდეგ მოვიდნენ ქვეყნად ერაყისა და მოაოხრეს” (ივ. ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორია ტ. III გვ. 74, 1966).

თათარ-მონღოლთა ბატონობის პერიოდში, ისინი დაპყრობილ ქვეყნებიდან ახალგაზრდობას, თავიანთ რეგულარულ არმიის რიგებში ღებულობდნენ, ამიტომაც, რომ ბერობანაში მუნჯ-ბერმეთაურის დამცველები არიან, როგორც მისი მებრძოლები, ისე ლაზები, რომლებიც მათ არმიაში ჩარიცხული, ხოლო “ბოშები” მოსახლეობის ძარცვაში დახმარებას უწევენ, ამიტომაც, რომ ყველა ესენი მონღოლთა ინტერესების დამცველნი არია, გარდა აჭარლებისა.

“ხალხის აღწერის შემდეგ მონღოლთა ხელისუფლებას საშუალება ჰქონდა გამოერკვია, რამდენი მეომარი უნდა გაოყევანა საქართველოს ბრძოლის ველზე. თითოეულ ცხრა სრულუფლებიან კომლს მონღოლეთისათვის ერთი მოლაშქრე უნდა მიეცა და ამ აღრიცხვის კვალობაზე მათ გამოუანგარიშებიათ, რომ ყოველწლიურად საქართველოს უნდა 9 დუშანი კაცი მხედარი მიეცა, ე.ი. 90 ათასი მეომარი. ამიტომაც, რომ ლაზები მათ არმიაში ყოფილან ჩარიცხული. მაშინდელ საქართველოს სამეფოში სულ 5 მილიონი მცხოვრები უნდა ყოფილიყო, ცნობებიდან ჩანს, თუ რამდენად მჭიდრო მოსახლეობა იყო მაშინდელ საქართველოში. იმისდა მიუხედავად, რომ მას უკვე ჯალალედდინის ხუთი და ჩინგიზ ხანის ორი შემოსევის საშინელება ჰქონდა გამოვლილი და ხალხიც ამ ორ შემოსევას საკმაოდ შეეწირა მსხვერპლად (ივ. ჯავახიშვილის ქართული ერის ისტორია, გვ. 343, ტ. III 1966).

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ აჭარელი მონღოლთა ჯარში ბლუ ნოინის გამართობია, მაგრამ სინამდვილეში იგი ცნობებს აწვდის ქართველებს მონღოლთა სიძლიერის შესახებ და კლავს ნოინის ხელქვეითს, რომელსაც ნოინის ამაღლაში ერთ-ერთი საკმაოდ დიდი თანანმდებობა უკავია.

სამწუხაროდ “ბერობანა“-ში აჭარელის როლმა სულ სხვა ცვლილება განიცადა, შემსრულებლები მას აბუჩად იგდებდნენ, თითქოს აჭარელი ხშირად წვერს ივარცხნიდეს და კბენარებს კლავდეს. ეს ამ როლის არა სწორი განსახიერებაა ისტორიული აზრის უხეში დამახინჯებაა და დღევანდელ სცენებში არასწორ წარმოდგენას უქმნის აჭარელ ქართველს მონღოლების შესახებ, ცნობებს აწვდის თავის მოძმე ქართველებს, მომენტს

ეძებს, რომ რამდენადმე შეასუსტოს მტრის ძალები და ამიტომაც, რომ ნოინის ჯარის მეთაურს კლავს, რომელსაც დღესაც ოფიცერს ეძახიან რაც არასწორია. აჭარელმა მოკლა ნოინის ხელქვეითი მეთაური, როგორც მათ ჯარის წყობაში იყო: ასეული, ათეულის და ათი ათასეულის მეთაურები, უნდა ვიფიქროთ, რომ აჭარელმა მოკლა მონღოლთა ასეულის მეთაური, რომელიც დაბალი თანანმდებობის ნოინი უნდა ყოფილიყო.

უღეში ძველად აჭარელის როლს კარგად ასორციელებდნენ: სტეფანე ჭადიაშვილი, სტეფანე პარუნაშვილი და პავლე მარტიაშვილი.

თემურ ლენგის სიკვდილის შემდეგ მონღოლთა ჯარების ნარჩენები კიდევ იდგნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, როგორც ჩანს მუნჯ ბერმეთაურმა შეავსო თავისი ჯარის ნაწილები ახალგაზრდებით და შავი ზღვის სანაპიროდან წამოვიდა მდინარე აჭარის წყლის ხეობით, იგი გადმოდის გოდერძის უღელტეხილზე, იქიდან მოყვება მდ. ძინძესა და შემდეგ ქვაბლიანის ხეობის მოსახლეობას გზადაგზა ძარცვავენ, ხოლო წინააღმდეგობის გამწევი კი მუნჯ ბერ-ნოინთან მიჰყავთ, რის გამოც ბერმეთაური მათ ცემითა და სიკვილის მუქარით ართმევს გადასახადს.

ბერმეთაურის მუნჯობა იქიდანაც სჩანს, რომ იგი ყველა მოქმედებას მუნჯურად ასრულებს, აი თუნდაც მასთან რაღაც “ურჩი” გადამხდელი მიყავთ ჯარისკაცებს. ნოინი ვერ ლაპარაკობს და გამოსცემს გაუგებარ ბეგრებს – “ბუუ”, “ბუუ” და თავში კეტს ურტყამს. ადვილი შესაძლებელია, რომ ბერმეთაურმა ბრძოლებში დაკარგა ენა და ამიტომ დაარქვეს ლალ ნოინი ანუ მუნჯი ნოინი.

“ლალ-ნოინი” ორი სიტყვით შედგება – “ლალ” თათრულად ნიშნავს მუნჯს, ხოლო “ნოინი” კი მონღოლთა ამაღლის, ჯარების ათასეულის და ათი ათასეულის მეთაურს.

“ლალ-ნოინის” ნაცვლად ვხმარობთ “ლალონის”, ეს კი მუნჯურ ცეკვას ნიშნავს, ვფიქრობთ მუნჯი ბერმეთაურის დავალებით სრულდებოდა ასეთი ცეკვები და ამიტომ ადვილი საფიქრელია, თავიანთ მუნჯ ბერმეთაურს ასეთი ცეკვებით ართობდნენ, ეს იქიდანაც ჩანს, რომ თამაშის ყველა მოქმედებას ხელმძღვანელი უსიტყვოდ ასრულებს, ასევე უსიტყვოდ უნდა შეასრულოს ყველა მონაწილემ, ამით ჰბაძავენ თავიანთ მუნჯ ნოინს, ვინც ვერ მიბაძავს ხელმძღვანელს, ის მუნჯ ნოინის რისხვას იმსახურებს.

პატივცემულ დიმიტრი ჯანელიძის აზრით ლალ-ოინი სააქლემოს ნიშნავს, რადგან საბას ლექსიკონში “ლოინი” განმარტებულია, როგორც მამალი აქლემი და ბერობანაშიც, რახან კაცები აქლემებად არიან გამოყვანილნი “ლალოინს” სააქლემო თამაშად მიიხნევენ (საბჭოთა ხელოვნება გვ. 12, 1977წელი).

ცნობილია, რომ მონღოლთა ურდოები აქლემებითა და ცხენებით მოძრაობდნენ თავიანთი ოჯახის წევრებით, ისინი რომელ ქვეყანასაც შეესოდნენ ყველაფერს ანადგურებდნენ, როგორც ვიცით ყეინობაში ანუ უწინდელ ბერობანაში კაცები აქლემებად არიან გამოყვანილი, იმ პერიოდისათვის აქლემები და ცხენები მონღოლთა ერთ-ერთი სატრანსპორტო საშუალება იყო და მას ყეინობაში სწორედ ეს მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

როგორც ზემოთ ავლიწნეთ ამ მუნჯურ ცეკვაში განსაკუთრებით განვითარებულია ნოინის მტაცებლური პოლიტიკა სადაც ხდება ბავშვების, ქალების, ძვირფასი ნივთებისა და სურსათის მოტაცება. მოტაცებულ ბავშვებში და ქალებში მონღოლთა ბერ მეთაურ ნოინისათვის განსაზღვრული გადასახადი უნდა მიეცათ, რომ მოტაცებული ბავში ან ქალი დაებრუნებინათ უკან.

XV საუკუნის დასაწყისიდან თათარ-მონღოლთა ძლიერება უკვე შერყეულიყო, ამას დაერთო ისიც რომ 1405 წლის 18 თებერვალს ცხელებით გარდაიცვალა თემურ-ლენგი, ხოლო ამ დროს საქართველოში ჯერ კიდევ დარჩენილი იყვნენ მონღოლთა ჯარის ნაწილები, რომელთა განდევნაც წარმოებდა ჩვენს საზღვრებთან.

როგორც ირკვევა, ალბათ მონღოლთა ნოინმა წინასწარ გაითვალისწინა, რომ 1405 წელს, თებერვლის ბოლო რიცხვებსი რელიგიური დღესასწაულის “აღებლამეს” ქართველები ნასვამნი იქნებოდნენ და ამიტომ მცირე ამალით განიზრახეს კიდევ ერთხელ უკანასკნელად დაერბიათ მესხი მოსახლეობა, მაგრამ თავდასხმის დროს დამარცხდნენ, აი სწორედ ამ დაბნეულობით ისარგებლა მოსახლეობამ და გაქცეულ მონღოლთა ბერ ნოინსა და მის ამალას, სამარცხვინოდ, სახლის ბინიდან ჭუჭყიან წყალს ტანზე ასხამდნენ და მონღოლთა მეომრების მოტაცებასაც ახერხებდნენ, რის გამოც მონღოლები იძულებულნი იყვნენ მიეცათ გამოსასყიდი გატაცებულთა სანაცვლოდ.

ჩვენი წინაპრები ხალხურ სანახაობას - ყეინობას როცა ასრულებდნენ, მაშინ სრულებითაც არ იყო მოქმედი პირები “ეშმაკი” და “მეფე-პატარძალი”, აღნიშნული

მოქმედი პირები “ბერობინაში” თბილისიდან მოვლინებულმა რეესორმა, ალავიძემ ჩაამატა 1947 წელს, ეს იმის გამო გააკეთა, რომ ამ ხალხურ სანახაობის ინსცენირებას ერთგავრი სილამაზე მიცემოდა, მაგრამ მან ამით ისტორიულ სინამდვილეს ჩრდილი მიაყენა.

საფიქრელია ისიც, რომ შესაძლებელია მონღოლთა ნოინი, რომელმაც მესხეთი დაარბია, ხანშიშესული იყო, ამიტომ ხალხმა მოხუცი ნოინი “ბერ” ნოინად მონათლა ამ ხუთი ათეული წლის მანძილზე, ამის გამო ყვინობა განდევნა “ბერობანამ” და დღეს ბერობინის სახელით იცნობს მოსახლეობა ამ წარმოდგენას. მისი შიდა წრეები, სათავეები კი როგორც ვთქვით ყვენობაშია.

ცნობილია, რომ მონღოლები პირველად 1220 წელს გამოჩნდნენ საქართველოში, ხოლო მეორედ 1235 წელს. მანმადე საქართველოს ხუთჯერ შემოესია ხვარაზმ შაჰის შვილი ჯალალ ედ დინი, რის გამოც დასუსტებულ საქართველოს ადვილად იმორჩილებს თემურ ლენგი.

1386 წლიდან 1403 წლების პერიოდში თემურ ლენგმა თავისი ლაშქარი საქართველოს რვაჯერ შემოუსია. ამ ლაშქრობის შედეგად საქართველოში გაუქმებული სოფლების რიცხვი 700-ს აღწევდა.

“მონღოლური წესით” ყველა ყმადნაფიცი სახელმწიფოები და სამთავროები ვალდებულნი იყვნენ მათთან ერთად სალაშქროდ გასულიყვნენ, ამიტომაც დაპყრობილი ქვეყნის ქონება და სიმდიდრე ასეთ ლაშქრობაში მონაწილე სხვადასხვა ეროვნების ჯარისკაცებსაც უვარდებოდათ ხელში. ასეთ ქონებას ნასისხლი ეწოდებოდა, რადგან მისი შექენა მხოლოდ სისხლის დაღვრით შეიძლებოდა. ზემოთ აღნიშნული გზით ქონების დაგროვება, მონღოლებთან ერთად მებრძოლ სხვადასხვა ხალხების წარმომადგენლებისათვისაც იმდენად მიმზიდველი შეიქმნა, რომ ისინი ამგვარი სახსრებით ცხოვრობას მიეჩნევენ. მონღოლთა მაშინდელ საბრძანებლებში შემავალ სხვადასხვა სამეფო – სამთავროების შეთხელებული ქონების შესავსებად ეს ერთადერთი წყარო იყო, მაგრამ ასეთი გზით გამდიდრებას უმთავრესად მაღალი სამხედრო პირების ხვედრი იყო. ჩვეულებრივ მოლაშქრეს, რასაკვირველია, იმ ნადავლიდან მხოლოდ მცირე ნაწილი თუ ჩაუვარდებოდა, სამაგიეროდ ყოველი ასეთი ლაშქრობა ხალხის სიცოცხლის განწირვასთან იყო დაკავშირებული.

ეს ისტორიული ფაქტი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ყეინობაში რომელსაც “ბერობანას” ვეძახით, ლაზები ბერის დამცველები არიან, რომლებიც სამი საუკუნის მანძილზე ასეთ ავბედობაში იმყოფებოდნენ, მონღოლთა არმიაში ჩარიცხული ქართველების ტყვე ჯარისკაცთა ნაწილი საბოლოოდ ინდოეთში დაუსახლებიათ მონღოლებს, რომლებსაც ინდოელი მოსახლეობა გუჯარებს ანუ გურჯებს ეძახიან დღესაც.

“უდის ბერობანას ისტორიისათვის”, ნარკვევებში გივი ჯაოშვილს მიაჩნია, რომ ყველა ხალხური თქმულება და ლექსი, რომელიც სოფელ უდეშია გამოთქმული, მისი აზრით ბერობასთან კავშირში უნდა იყოს – “დათვისა და ბიჭის” გაბაასება, “კამეჩი და მეურმე” და საშაირო სხვა კუბლეტები.

მაგალითისათვის მომაქვს ის ხალხური თქმულებების ნაწილი, რომელიც სოფელ უდის მოსახლეობას გამოუთქვამს ოდესღაც.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქვემოთ მოყვანილ ლექს არავითარი კავშირი არა აქვს არც “ბერობანასთან” და არც “ყეინობასთან”.

დაღამდა და დასცა ბინდა
ცოლეულთან მიდის ბიჭი,
დათვი წინ შემოყარა
ყელ-ქედანა, მეტად დიდი.

ბიჭი:

- დაჯე დათვო ვჭამოთ,
ღვინო მაქვს და კათხა დიდი.

დათვი:

- მე შენი ღვინო რად მინდა
ეხლა ვჭამე ჭალას შინდი,
წრეულობით გამიშვიხარ,
სამერმისოდ დამიშინდი.

და სხვა .

გივი ჯაოშვილს მიაჩნია, რომ “უდის ბერობანაში” ცხოველთა კულტის გადმონაშთის შესახებ მიგვანიშნებს კამეჩისა და მეურმის გაბაასება:

მეურმე – ჰოი, თვე კამეჩო ნაიბაო

რა დაგემაართა, რა იყო?

კამეჩი – სიცხემან გული წამთუთქა,

სიგრილე ჩემი ძმა იყო.

უღის ბერობინაში არ არის ცხოველთა კულტი მოცემული, რასაც მკვლევარი შენიშნავს. ადვილი საფიქრელია “ბერიკაობასთან” ჰქონდეს კავშირი, რადგან ბერიკაობაში: დათვის, ღორისა და სხვა ცხოველების ნიღბებით გამოდიან ადამიანები ინსცენირების დროს. უღის ე.წ. ბერობანა კი როგორც ვთქვით არსებითად იგივე ყეენობის განსახიერებაა.

მონღოლების განდევნის, ალბათ წლის თავზე მესხეთის სოფლებში, ფერხულის, სამყრელოს, ლალოინის ამ სანახაობის მეორე დღეს ე.ი. რელიგიურ დღესასწაულ “აღებლამეს” – დილით მოირთობოდნენ ყეინობის განსახიერების მონაწილენი და შუადღიდან იწყებდნენ ინსცენირების შესრულებას.

ამ უკანასკნელ წლებში თავიანთ როლებს ისე ვერ ანხორციელებენ ბერობანას მონაწილენი, როგორც ეს სინამდვილეში იყო.

თუმცა ჩვენ იმითაც მაღლიერნი ვართ, რასაც ასრულებენ, რადგან ეს ხალხური შემოქმედების შენახვის ტრადიციაა. მიუხედავად ამისა საჭიროა მეტი სიზუსტის დაცვა, ყოველ დეტალში ისტორია იკვეთება, ისტორიის სუნთქვა იგრძნობა.

კარგი იქნება თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ძველად ბერის როლში გამოყავდათ ისეთი პიროვნება, რომელიც ფიზიკურად ძლიერი, მაღალი და ხანშიშესული იყო.

ბერი ჩაცმულობითაც განსხვავდებოდა სხვა მონაწილეებისაგან, რომელსაც თავზე ეხურა ბატის ფრთებით მორთული კასრი და ყელზე ჰქონდა სიმინდის ფუჩქისაგან დამზადებული მძივი. ფაქტიურად ბევრ ნოინს ექნებოდა ძვირფასი ქარვის მძივები.

ბერს მოედანზე, სადაც ამ თამაშის განსახიერება ხდებოდა ედგა ტახტი. ჯარისკაცებს ბერთან მიჰყავდათ მხოლოდ ხარკის “ურჩი” გადამხდელები.

ბერი იშვიათად თუ წამოდგებოდა “ტახტიდან”, მისი წამოდგომისას მოსახლეობა გარბოდა.

ძველად აღნიშნულ თამაშობათა განსახიერებას კარგად და დიდხანს ხელმძღვანელობდნენ უღეში კონსტანტინე (კოსტო) კოპაძე და იოსებ ბალახაშვილი.

მათი სიკვდილის შემდეგ ეს ტრადიციული თამაშობანი ყოველწლიურად ტარდებოდა სტეფანე ბალახაშვილის (ლეჰკაოს) ხელმძღვანელობით, ხოლო შემდეგ კი სიმონ ბალახაშვილისა. დიდად სასიხარულოა, რომ უდის ამ სახალხო დღესასწაულს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ცნობილმა მეცნიერმა დ. ჯანელიძემ.

სანახაობა საფუძველი გახდა შექმნილიყო სახალხო უნივერსიტეტი, რომელსაც საქართველოში შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი მეთაურობს. ყოველწლიურად იმართება სხვადასხვა ღონისძიებანი, სამეცნიერო სესია და სხვა.

მესხეთის ძველთა ძველ სოფლებში შემორჩენილი ხალხური სანახაობის მოვლა და მისი ზუსტი აღდგენა საშვილიშვილო საქმეა. იქნებ ჩვენმა ზოგიერთმა მოსაზრებამაც ხელი შეუწყოს ამ საშვილიშვილო საქმის შენარჩუნებას.

უღის გვარების წარმოშობის შესახებ

ძველად ადამიანთა გვარები არ არსებობდა. ეს იმიტომ, რომ ჩვენი პლანეტის ზედაპირზე ძალზე მცირე მოსახლეობა ყოფილა დასახლებული და ისინი ცხოვრობდნენ ცალკეულ ტომებად, ტომებს ყავდათ თავიანთი ბელადები.

ტომის მცხოვრებლებს ყველას თავისი სახელი ერქვა და ისინი ადვილად არჩევდნენ ერთმანეთს. დროთა მსვლელობაში, როცა ტომები მრავლდებოდა, მაშინ საჭირო დახდა ერთნაირი სახელიანი პიროვნების გარჩევა, რის გამოც უკვე სახელის გვერდით გაჩნდა კიდევ მეორე დამატებითი სახელი, რომელიც აზუსტებდა პიროვნების ვინაობას, აი სწორედ ამ დამატებით სახელისაგან დროთა განმავლობაში წარმოიშვა გვარი.

მარესიზმის კლასიკოსები გვასწავლიან, რომ გვარები წარმოიშვა განვითარებულ კლასობრივ საზოგადოებაში და ამიტომ მას სოციალური განსხვავების გამოხატვაც დაეკისრა, რის გამოც ძველად გვარების მიხედვით განსხვავდებოდნენ მაღალი, საშუალო და დაბალი წოდების ხალხს.

გვარები უმეტესად წარმოებულია სახელებისაგან. ცხადია ასეთ შემთხვევებში აღებულია წინაპრის სახელები და მეტსახელები, გარდა ამისა გვარები წარმოებულია ოჯახური მდგომარეობისა, ადამიანის ფიზიკური ნაკლის აღმნიშვნელი სიტყვებისა, ცხოველებისა, ფრინველებისა, ადგილმდებარეობისა და სხვა.

წინაპრების სახელებისაგან ან მეტსახელებისაგან უდევს წარმოებული გვარებია: აფრიასაგან – აფრიამაშვილები, ბაღლოსაგან – ბაღლოშვილები, გაბოსაგან – გაბოშვილები, გიგოლასაგან – გიგოლაშვილები, დიდო – დიქოსაგან – გიქოშვილები, ზაზასაგან – ზაზაშვილები, თათეოზისაგან – თათენაშვილები და თათოშვილები, კაკოსაგან – კაკოშვილები, მამუკასაგან – მამუკაშვილები, პეტასაგან – პეტაშვილები, სარასაგან – სარაშვილები.

ოჯახური მდგომარეობის გამომხატველი გვარებია: ობოლაშვილი და ყულჯანიშვილი.

ფიზიკური ნაკლის აღმნიშვნელი სიტყვებიდან მიღებული გვარებია: კიკნაძე და ჩილაშვილი.

სიტყვა “კიკნა” ბერძნული სიტყვაა და მცირეს ნიშნავს, ხოლო ნაყვავილებ – ჩილისაგან წარმოიშვა ჩილაშვილების გვარი.

უღეში ხელობისა და თანანმდებობის აღმნიშვნელი გვარებია: მღებავისაგან – მღებრიშვილი, გზიროსაგან – გზირიშვილი, მერაბისაგან – მერაბიშვილი, მამასახლისისაგან – მამასახლისაშვილი და ხუცესისაგან - ხუციშვილი.

წოდებრივი წარმოშობის გვარია – აღოშაშვილი

მცენარეების და ცხოველებისაგან წარმოშობილი გვარების: ბალახაშვილი, გელაძე – გელაშვილი.

ზოგი გვარი წარმოებულია დროის აღმნიშვნელი სიტყვებიდან: მარტისაგან – მარტიაშვილი, მაისისაგან – მაისურაძე.

XVI საუკუნის ბოლოს, თურქმა დამპყრობლებმა, სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის აღწერისას გვარები აღარ შეიტანეს და სიები შეადგინეს სახელისა და მამის სახელის მიხედვით.

1595 წელს “გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში”: ჩაწერილია, რომ სოფელ უდის 135 ოჯახის უფორსი, თურქ მოსახლეებს ყოველწლიურად უხდიდა 30,000 “ახნას”. ამჟამად ჩვენთვის გაურკვეველია, თუ გადასახადის გადამხდელი 135 ოჯახის უფროსები რა გვარით იყვნენ, რომელთა ნაწილის სახელებიც მოგვყავს ქვემოთ:

- | | |
|-----------------------|----------------------------|
| 1. ზურაბ ძმა მისი | 10. პარუნა ძმა მისი |
| 2. ბატატა ძე მისი | 11. მღვდელი ძმა მისი |
| 3. პარუნა ძე მისი | 12. მასურა გელაბარის ძე |
| 4. იონა ძმა მისი | 13. ბიძინა ძე მისი |
| 5. ელია ძმა მისი | 14. გელაზარის შვილის შვილი |
| 6. დავით ძმა მისი | 15. გიორგი ძმა მისი |
| 7. მამუკა ძე მისი | 16. იაკობ ძმა მისი |
| 8. ამირან არიდანის ძე | 17. დარიბა ძმა მისი |
| 9. მასურ ძე მისი | |

და ასე შემდეგ სულ 135 კაცია დაბეგრული.

სამხრეთ საქართველოს დიდმა უმრავლესობამ, დამპყრობელთა დიდ გადასახადებს ვეღარ გაუძლო და იძულებული გახდა მიეღო მაჰმადიანობა, რის შემდეგაც მათმა უმრავლესობამ დაკარგა ქართველობა, სარწმუნოება, ენა, გვარი და სახელი.

ვახუშტი ბატონიშვილი სამცხის შესახებ წერს: “ჯაყელი, ესე არს აწ ათაბაგი და ფაშა ახალციხისა, შალიკაშვილი, თავდგირაძე, დიასამიძე, ქობულის ძე, გოგებაშვილი, ამილახვარი, ავალიშვილი, სუმბატიშვილი, გოგორიშვილი, თუხარელი, დაღანიძე და სხვანი, აღარ იწოდებიან გვართა, არამედ ფაშად, ბეგად და სანჯახად და აზნაურიცა ეგრეთვე.”

ქართველ მაჰმადიანთა შორის ბევრმა დაკარგა თავისი ნამდვილი გვარი და გადავიდა ძველ გვარზე, ასე რომ თაობიდან თაობაზე ერთი და იგივე გვარი კი არ გადადიოდა, არამედ იცვლებოდა მამის სახელის მიხედვით, ესეთი წესი განსაკუთრებით მაჰმადიანური წარმოშობის ხალხში დღესაცაა დაცული.

მართლაც გვარის ასეთი ცვლა იწვევს დიდ სიძნელეებს, ამიტომ მსოფლიოს უმრავლესობამ ირჩია, რომ ერთხელვე შემუშავებული გვარი დამკვიდრდეს და გადაეცეს თაობიდან თაობას.

1944 წლის 14 ნოემბრამდე უდემო სულ 64 გვარის ხალხი ცხოვრობდა, ხოლო ამავე წლის 14 ნოემბრის შემდეგ გვართა რაოდენობა შემცირდა იმის გამო, რომ უდიდეს ქართველი მაჰმადიანები შუა აზიაში გადაასახლეს. ამჟამად უდემო სულ 59 სხვადასხვა გვარი ცხოვრობს. აქედან ყველაზე გავრცელებული გვარებია: მერაბიშვილი, ბალახაშვილი, აბულაძე, გიქოშვილი (კიკნაძე), თათოშვილი, გიგოლაშვილი, ყულჯანიშვილი, პეტაშვილი, გელაძე და სხვა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უდეს შეემატა ექვსი სხვადასხვა გვარის ოჯახი – აკოფიანი, შაშიკიანი, კარაკაშიანი, ადგიშვილი და სუხმანი (ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის რაიონებიდან და ასევე ბელორუსიიდან).

უდემო ძველ მოსულებად ითვლებიან – თათოშვილების ნაწილი (ზავზაკიანთების შტო) და მამუკაშვილები (ასპინძის რაიონი სოფელი ხიზაბავრა).

1830 წლიდან უდემო ცხოვრობდნენ დავილოვები და სტანჩიკოვები, როგორც ირკვევა ისინი მეფის რუსეთის ჯარისკაცები იყვნენ (1828-1830) და სამხრეთ

საქართველოს განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ და საბოლოოდ უდემო დარჩნენ საცხოვრებლად.

ჯერ კიდევ XVI საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის 20-იან წლებამდე უდიდან შიშიანობის გამო გადაიხვეწა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აბულაძეების, ბალახაშვილების, მერაბიშვილების, კიკნაძეების, ბაბუნაშვილების, ბარიკაშვილების, ხუციშვილების, ხოჯვანაშვილების, თამარაშვილების და სხვა გვარები

უდემო ამჟამად 59 გვარია 1190 ოჯახი 3380 სული (1980 წლის მონაცემებით), უდიდან ძველად სხვადასხვა დროს გადასახლებულან საქართველოს შიდა რაიონებში შიშიანობის გამო, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების წლებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების გამო დარჩნენ საცხოვრებლად ჩვენი სამშობლოს ქალაქებსა და სოფლებში, რომელთა შესახებაც დაწვრილებით ცნობებს ვათავსებთ ქვემოთ.

№	გადავიდნენ საცხოვრებლად	როდის გადასახლდნენ	რამდენი კომლი	ამჟამად კომლთა რაოდენობა	შენიშვნა
1	ქ. ახალციხე		150	250	სხვადასხვა დროს
2	სოფ. ივლიტა (ახალციხის რ-ნი)	1910	3	21	
3	სოფ. ახალშენი (წულუკიძის რ-ნი)	1910	15	58	
4	ქ. გორი	1900	8	20	
5	ქ. თბილისი და რუსთავი		200	350	სხვადასხვა დროს
6	სოფ. სანავარდო (ყვარელის რ-ნი)	1910	20	70	
7	შუა აზიის ქვეყნებში უდელი მაჰმადიანები	1944	133	300	
8	ადიგენის რაიონულ ცენტრში ცხოვრობენ	1945 წლიდან 1992 წლამდე	20	30	
9	კურ. აბასთუმანი (ადიგენის რ-ნი)		12	25	
10	სოფ. ვარხანი (ადიგენის რ-ნი)		2	4	
11	სოფ. აბასთუმანი (ადიგენის რ-ნი)		3	6	
12	სოფ. უმწა (ადიგენის რ-ნი)		7	12	
13	სოფ. ფხერო (ადიგენის რ-ნი)		3	6	

14	სოფ. კახარეთი (ადიგენის რ-ნი)		6	7	
15	სოფ. წრე (ადიგენის რ-ნი)		1	1	
16	სოფ. გორგული (ადიგენის რ-ნი)		5	7	
17	სოფ. წახანი (ადიგენის რ-ნი)		1	3	
18	სოფ. ბოლაჯური (ადიგენის რ-ნი)		2	2	

აქედან გამომდინარე სულ წასული არის 491 ოჯახი და ამჟამად მათი შთამომავლები შეადგენენ სულ 952 ოჯახს (1992 წლის მონაცემებით).

შინა მრეწველობა

ძველად უდგეში, შინა მრეწველობის ბევრი სხვადასხვა დაგრი ყოფილა განვითარებული, ჯერ 1925-1930 წლებში დაახლოებით თხუთმეტამდე სამჭედლო იყო, რომელიც ჯერ კერძო პირების საკუთრებად ითვლებოდა, სამჭედლოებს შორის განსაკუთრებით ცნობილი იყო მარტიაშვილების, ბალახაშვილებისა და ნარიმანიშვილების მიერ დამზადებული იარაღები. მჭედლები ამზადებდნენ სასოფლო სამეურნეო იარაღებს: თოხებს, ბარებს, წერაქვებს, უროებს, ცულებს, წაღდებს, ხელეჩოებს, ფეხეჩოებს და სხვა.

უდგეში ძველად მუშაობდა “ყვინჩად” (ოქრომჭედელი) რაბათელი ანტონ გირგიძე, რომელიც ღრამდ მოხუცებული იყო და მაინც ჩვეული ენერგიით იგი ოქროს, ვერცხლისა და თითბერისაგან ამზადებდა ბეჭდებს, ქამრებს, ჟიდ-ჟიდებს (ყელსაბამი), სამაჯურებს, ჯვრებს და სხვა.

ხეზე მომუშავე ხელოსნები ამზადებდნენ ხის გუთნებს, ჯილდებს, კავეებს, კვერებს, უღელებს, ურმის თვლებს, კარადებს, მაგიდებს; აშენებდნენ სახლებს და სხვა სოფელ ხუროში დასახლებულნი უნდა ყოფილიყვნენ ხუროები.

უდგეში 1930 წლამდე შემორჩა სხვადასხვა სახის ქსოვილების დამზადების წესი. ძველად ამ დარგის განვითარებას ხელს უწყობდა ადგილობრივი ნედლეულის არსებობა. კერძოდ მეცხვარეობა, რის გამოც მოსახლეობის ნაწილი საკუთარი ნაწარმით იკმაყოფილებდა მოთხოვნილებას.

სოფელში ნაწილ მოსახლეობისას შალის საქსოვი დაზგები ჰქონდათ, რომლებიც მოსახლეობასაც უქსოვდნენ შალის ქსოვილებს, ასევე ქალები ქსოვდნენ შალის თავსახურავეებს, ბეჭებზე მოსასხმელ დიდ შალებს, წინდებს, პაიჭებს, წინსაფრებს, ხელთათმნებს.

თხის ბალნისაგან ქსოვდნენ ტომრებს, გრეხდნენ ურმის დასაკოჭ თოკებს, აპევრებს (მამასახლისაშვილი აკო და მისი შვილი).

ნართის დამზადებისათვის აუცილებელი იყო მატყლის გარეცხვა. გარეცხილი მატყლი, რომ სუფთა ყოფილიყო გობიდან დამბალ მატყლს ამოიღებდნენ ბრტყელ ქვაზე, დადებდნენ და სატყეპელით გატყეპავდნენ, ამას იმეორებდნენ მანამ, სანამ მატყლი მთლიანად არ გაირეცხებოდა. შემდეგ მატყლს გააშრობდნენ, გამშრალ მატყლს

გაწეწავდნენ, გაპეტავდნენ და შემდეგ საჩეხელზე გაჩეჩავდნენ, გაჩეჩილ მატყლს ხელტარზე დაართავდნენ, შემდეგ ორწვერ ნართს გრეხდნენ ჭახრაკზე, რომელსაც ქსელად იყენებდნენ.

სხვადასხვა ქსოვილების დამზადებისათვის აუცილებელი იყო სხვადასხვა ხარისხის ნართის დართვა, რადგან შალს წმინდა ნართი ესაჭიროებოდა, რომ ქსოვილი უხეში არ გამოსულიყო, წინდებისათვის როგორც მსხვილი, ისე წმინდა ნართი იყო საჭირო, ხოლო შალის ქსოვილისათვის ქსელის გარდა საჭირო იყო უფრო ხარისხოვანი წმინდა სადედაო ნართი.

შალის ქსოვილის ხარისხი დამოკიდებული იყო ნართის ხარისხზე, რომლისაგანაც კერავდნენ: ჩოხებს, ახალუხებს, შარვლებს, ყაბალახებს.

შემოდგომით მოსახლეობას მოჰქონდა მთიდან ჭაობის მცენარე – ჭილი, ხოლო სიმინდის ტაროს თეთრ ფუჩქეს ინახავდნენ. ზამთარში, როცა ქალებს საქმე გამოეყოდათ, განსაკუთრებით დიდ მარხვაში როგორც ჭილისაგან, ისე ჩალის ფუჩქისაგან გრეხდნენ იმდენს, რამდენის ქსოვისთვის იყო საჭირო. შემდეგ სპეციალურ დაზგაზე დაქსელავდნენ, დაქსელვის შემდეგ ქალები იწყებდნენ ჭილობის ქსოვას, როგორც ჭილისგან, ისე სიმინდის ფუჩქისაგან.

1897 წელს ჟურნალ “კვალში” ივ. მერაბიშვილი წერდა: “აქ ბევრი ხელობაა გავრცელებული, არიან ხაზარები, კალატოზები, მჭედლები, ნალბანდები, ხარებისა და ცხენების მჭედლები, რომელთა ხელობა ქებულია, არა მარტო ქვაბლიანში და ფოცხოვში, არამედ თვით ქ. ახალციხის აღმოსავლეთ მხარესაც”.

ეს კი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქვაბლიანის ხეობაში უდევს ითვლებოდა ხელოსანთა და ვაჭართა ცენტრად, სადაც მახლობელი სოფლებიდან და ფოცხოვიდან მოდიოდნენ და ყიდულობდნენ სას. სამ. იარაღებს, აქვე თერძებთან იკერავდნენ ტანსაცმელს, “ბარბარ ხანაში” იპარსავდნენ წვერს და “ადოლათ ჰასანას ყავანაში” ატარებდნენ დროს.

ფოცხოვისა და ქვაბლიანის სოფლებიდან მოჰყავდათ პირუტყვი მოჰქონდათ ერბო-ყველი, კარაქი, ქათამი, კვერცხი და სხვა.

ზამთრობით ღორძიდან, წყისიდან, ზაზალოდან და მახლობელ სოფლებიდან მარხილებით შემოდის უდევში შეშა, თივა და სხვა გასაყიდად.

უდეში აღმოჩენილი განძეულის შესახებ

1959 წლის ჟურნალ “საბჭოთა ხელოვნების” 4 ში ხელოვნებათ მცოდნეობის კანდიდატი ალექსანდრე ჯავახიშვილი და ტარიელ ჩუბინაშვილი უდის განძის შესახებ წერდნენ შემდეგს: “ერთ-ერთი ასეთი უახლოესი აღმოჩენა მოხდა სოფელ უდეში, სადაც ნაპოვნი იქნა ბრინჯაოსა და რკინის ნივთების დიდი განძი, რომელის 100-ზე მეტი ერთეულისაგან შედგებოდა და შეიცავდა ბრინჯაოს ცულებს, ხელშუბებს, ბრინჯაოს რგოლებს, პინცეტებს, ფართო ფურცლიან სარტყელებს და ბოლოს სარტყელების შესაკრავ აბზინდებს, ჩამოთვლილი ნივთების დიდი ნაწილი შემკულია სხვადასხვა მხატვრული ხერხებითა და თვითაც წარმოადგენს მხატვრულ სამკაულს, ამიტომ უდის განძი დიდ ინტერესს იწვევს არა მარტო ისტორიულ – არქეოლოგიური თვალსაზრისით, არამედ ხელოვნების თვალსაზრისითაც, უდე ისტორიული და არქეოლოგიური თვალსაზრისით მეტად საინტერესო ადგილია, იგი მდებარეობდა უძველეს სავაჭრო გზაზე, რომელიც აკავშირებდა საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეებს”.

უდის განძი აღმოჩენილი იქნა შემთხვევით 1956 წლის გაზაფხულზე ლევან მაქანდარაშვილის სახლთან 1-2 მეტრის სიღრმეზე. ბრინჯაოსა და რკინის მრავალრიცხოვანი ნივთები გახვეული იყო ბრინჯაოს ფურცლოვან სარტყელებში. მკვლევარები უდეში ნაპოვნ ნივთებს სამ ჯგუფად ყოფენ:

1. საბრძოლო იარაღები ბრინჯაოს 4 კოლხური ცული, 12 ბრინჯაოს შუბისა და ხელშუბის პირი, ამდენივე ბრინჯაოს ყუნწიანი ისრის პირი, ბრინჯაოს 4 ლახტის თავი: რკინის სატევრის პირი, ლახტის თავი და 2 შუბის პირი.
 2. სამკაულები და მათი მსგავსი ნივთები: ბრინჯაოს ერთი რგოლაკი, 2 პინცეტი, 12 მსხვილი რგოლი და ბრინჯაოსა და რკინის ნივთების ცალკეული ნახატები.
 3. ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები: ბრინჯაოს 3 საკინძი, ბრინჯაოს სხვადასხვა საგნის ფურცლოვანი 4 სარტყელის ფრაგმენტი და ბრინჯაოს სარტყელის შესაკრავი ე.წ. ყუბანური ტიპის 8 აბზინდა.
- ა. ჯავახიშვილი და ტ. ჩუბინაშვილი უდის განძს მიაკუთვნებენ ძველი წელთაღრიცხვის XI-X საუკუნეებს.

უდის განძის ბრინჯაოს ნივთების ერთი ნაწილი უხვად არის შემკული სხვადასხვა ორნამენტებით.

უღის ციხესთან 1939 წელს სახლების მშენებლობის დროსაც მიწის სიღრმეში ნაპოვნია ჭურები, მონეტები, კრინისა და ოქროს ზოდები. ყველა ეს აღმოცენილი ნივთები კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ უღე ერთ-ერთი ვაჭარ-ხელოსანთა უძველესი და უდიდესი დასახლებული პუნქტი უნდა ყოფილიყო.

ღღეს უღე სამცხის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მჭიდროდ დასახლებული, დონიერი სოფელია, მისი ძეგლები, არქეოლოგიური ნივთები, შემორჩენილი უძველესი ხალხური სანახაობანი და თქმულებების, არა მარტო ამ სოფლის არამედ საერთოდ ჩვენი ხალხის გმირული ბრძოლისა და შრომის ნათელი ფურცელია.

მოსახლეობის გამაჰმადიანება და კათოლიკეობის მიღება სამცხეში

1628 წელს “სულთანთან მიპატიუებული და საათაბაგოს სანათესაოზე გაჯავრებული ბექა სტამბულში მუსლიმანად ინათლებოდა და აია სოფიას სამლოცველოზე მუხლებზე იდგა, ლოცვილობდა, ხოლო როცა მესხეთში დაბრუნდებოდა მანუჩარს მოსწამლავდა და ათაბაგობას თუ არ ეღირსა, გაერთიანებულ ვილაიეთის ფაშად დაჯდებოდა. აფსუს, ოდესღაც ბერძნულ ტაძარში, რომლის სახელწოდებაც იყო წმინდა სოფია, ამჟამად თურქების მიერ წარმოთქმულ მუსლიმანურ “აია სოფიად” გადაკეთებულ სამლოცველოში ათაბაგობას დანატრულმა ფაშობის წოდებაზე გაჰყიდა ეროვნება და სარწმუნოება, სული და ნამუსი აღუთქვა სულთანს, რომ დღეიდან იბრძოლებდა აჭარა-მესხეთის გამაჰმადიანებისათვის, ასე გაშავებული პირით გამოემგზავრა იქიდან და ართვინთან ახლოს სოფელ სვეტში დასახლდა მანუჩარის წინააღმდეგ ახალი პოლიტიკური მანევრებისათვის” (ჯემალ ჯაყელის “ფინქსი სიბრძნისა” გვ. 107, ბათუმი 1971 წ.).

ბექა ესტუმრა ბიძას – მანუჩარს, მოწამლა და მანუჩარის სიკვდილის შემდეგ სულთანმა დანიშნა ახალციხის ფაშად და მონათლეს საფარ ფაშად. რომელმაც სამხრეთ საქართველოსა და მათ შორის უღის მოსახლეობის ნაწილს იძულებით მიაღებინეს მაჰმადიანური სარწმუნოება – აბულაძეების, კიკნაძეების, ჩილაშვილებისა და პეტაშვილების ნაწილს, ხოლო ბაქრაძეების, ბარათაშვილების, ბერიძეებისა და კანჭაძეების გვარის ყველა წევრი გამაჰმადიანდა. უფრო გვიან მაჰმადიანობა მიიღე პეტაშვილების ერთმა შტომ, რომლებსაც “იშიღ ოღლები” შეარქვეს.

როგორც ძველი გადმოცემები ადასტურებს, ოჯახის უფროსს შემოჰკვდომია თურქი მოხელე, ამის გამო დაიჭირეს მკვლელი და თურქთა სასამართლოს განაჩენით მკვლელ – პეტაშვილს მიუსაჯეს გახურებულ რკინის თასის თავზე დახურება და ასე ტანჯვით სიკვდილი.

თურქ მოხელეთა ბრძანებით სოფელში ცენტრალურ მოედანზე თავი მოუყარეს სხვადასხვა სოფლებიდან მოსულ ხალხს იმის გამო, რომ აყურებიონ ქართველი კაცის წამებით სიკვდილი, მეოდნის თვალსაჩინო ადგილას ჯამი ხურდებოდა, დანთებულ კოცონზე და იქვე ახლოს ბოძზე მიკრული ჰყოლიათ თავიანთი მსხვერპლი, თურქი

მოხელეები გახურებულ ჯამს, როცა თავთან მიიტანდნენ, მაშინ დამნაშავე პეტაშვილს ეუბნებოდნენ: თუ მიიღებ მაჰმადიანობას ყველა დანაშაული გეპატიება, თუ არა ასეთ ტანჯვაში ამოგხდება სულიო.. ასეთ ტანჯვას რასაკვირველია არჩია მიელო მაჰმადიანური სარწმუნოება, როცა თანხმობა განუცხადა თურქ მოხელეებს, მაშინ მონათლულ იქნა მაჰმადიანურად, რის გამოც სახელი და გვარი გამოუცვალეს თურქმა ხოჯებმა – “დასვინათების” ე.ი. თურქულ წესზე მონათვლის დროს უწოდეს “მახმუდი” და უთქვამთ – “ეხლა შენ “იშიდში” შეხვალ, რაც სინათლეს ნიშნავს.

XVII საუკუნეში თურქ დამპყრობლებმა ჯერ სამცხეში და შემდეგ აჭარაში, მოსახლეობის მასიურად გამუსლიმანების საქმეში ფართოდ გამოიყენეს ცეცხლი და მახვილი.

მცხეთაში შემორჩენილ ქართველობას ამ მდროს მფარველობას საფრანგეთი უწევდა.

ჯერ კიდევ 1535 წელს საფრანგეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო პირველი ხელშეკრულება, რომლის ძალითაც გათვალისწინებული იყო საფრანგეთის მფარველობის გაწევა, ჯერ საკუთარ ქვეშემდომებზე. რომლებიც ოსმალეთში იმყოფებოდნენ და შემდეგ კი საფრანგეთმა ცალმხრივად განახორციელა მფარველობის გაწევა ოსმალეთში ყველა სხვა კათოლიკურ ქრისტიანობის მადიარებლებზე.

ჯერ კიდევ XV საუკუნეში ათაბაგები კავშირს ამყარებდნენ საფრანგეთის სახელმწიფოსთან, რათა მათ კათოლიკობის გავრცელებით დაეცვათ ისლამის მოძალებისაგან თავი.

რომის პაპთან და საფრანგეთთან ათაბაგების დამოკიდებულებაზე დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის მიხეილ თუმანიშვილი. იგი 1902 წლის 3 ოქტომბერს რომიდან გამოგზავნილ წერილში წერს: “ყვარყვარე მეორე და გიორგი მეფე 1459 წელს საფრანგეთში ბურბოო დუკას წერენ, რომ დასავლეთში აღმოსავლეთელებს დახმარებოდნენ, რათა ოსმალეთი დაამარცხონ. ამის გამო ელჩებს უგზავნიან, ელჩები ჯერ პაპთან მისულან, თავიანთი მთავრების ერთგულება და მორჩილება გამოუცხადეს, შემდგომ საფრანგეთში წავიდნენ:.

1546 წელს რომის პაპი თავის წერილში წერს, რომ სხვა მთავრებთან ერთად ყვარყვარე (მეოთხე) რომის ეკლესიის ერთგული ყოფილა და პაპთან შესაერთებლად მომზადებული. ეს უტყუარი ფაქტები მეტყველებს იმაზე, რომ სამცხეში ერთეულმა

სოფლებმა და ქ. ახალციხის მოსახლეობამ კათოლიკეობა მიიღო და ამით თუქთა განადგულებისაგან თავი დაიცვეს.

სამცხის ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა რომ განესხვავებინათ მაჰმადიანებისაგან, ახალციხის ფაშას უბრძანებია, რომ “ქართველ მამაკაცებს თავზე ცისფერი მოსახვევი და წელზე ამავე ფერის სარტყელი ეტარებინათ, ხოლო მაჰმადიანებს – თეთრი თავსახვევი (ჩალმა) და თეთრი სარტყელი”.

ასეთი განსხვავებული ჩაცმულობა შემორჩა მესხეთში 1930 წლამდე, რომლსაც დრმად მოხუცებული ქართველი მამაკაცები ატარებდნენ.

230 წლის ტყვეობის შემდეგ 1828 წლის 15 აგვისტოს მეფის ნაცვალ გენერალ პასკევიჩის ხელმძღვანელობით რუსმა და ქართველ ჯარმა სამხრეთ საქართველოდან განდევნა თურქი დამპყრობლები. მრავალგზით აოსრებული და განაწამები მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობა აღარ დაბრუნებია თავის გაპარტახებულ მშობლიურ კერას, რის გამოც მეფის ნაცვალმა პასკევიჩმა ართვინიდან სომეხი მოსახლეობა ჩამოსახლა მესხეთ ჯავახეთის დაცარიელებულ სოფლებსა და ქალაქებში.

ცარიზმის ბატონობის პერიოდში ქართული ენა ქვაბლიანის ხეობაში და მთლიანად მესხეთ ჯავახეთში დაკნინდა. ქართული ენის დაქვეითებას ხელი შეუწყო რუსული და თურქული ენების გაბატონებამ ამ მხარეში. რუსი მოხელეები ცდილობდნენ ქართველი მოსახლეობის გარუსებას, ამიტომ სკოლებში რუსული ენაზე ისწავლებოდა ყველა საგანი. იმ დროს დაბადების მოწმობაში ქართული გვარები სომხურად გადაკეთებული იქნა – აბულაძეებს აბულოვებად, მერაბიშვილებს – მერაბოვებად, ბალახაშვილების – ბალახოვებად და სხვა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ მესხეთის უმრავლეს ეკლესიაში სომეხი მღვდლები ბატონობდნენ და ნათლობისას სომხურ გვარებს ატარებდნენ წიგნში.

უდე მენშევიკების ბატონობის პერიოდში და გაქცევა

მესხეთის განთავისუფლების 90 წლის შემდეგ საქართველოში მენშევიკების ბატონობის პერიოდში ერთხელ კიდევ სწვევიათ დიდი უბედურება ამ ტანჯულ მოსახლეობას. ქართველობა კიდევ მტრის გარემოცვაში მოექცა. ქართველი მოსახლეობა განიცდიდა თურქთა ველურ ურდოებისა და ადგილობრივი ბანდების განუწყვეტელ თავდასხმებს, ხოლო მეორე მხრივ სილატაკე, შიმშილი და სიცივე სტანჯავდათ.

თურქეთის მთავრობის დავალებით ახალციხის გავლენიან პირებმა სარველ ბეგმა (ჯაყელთა გვარის უკანასკნელმა წარმომადგენელმა), სამცხის ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობისაგან, თითოეულ სოფელში შექმნა მოხალისეთა ბანდები, რომელთა მიზანი იყო მესხეთში ქართველობის მოსპობა, ამის გამო 1918 წლის იანვრიდან მესხეთის ნაწილი სამცხე ხელახლა მოსწვიტეს საქართველოს, რის გამოც სამხრეთ დასავლეთით საქართველო აღმოჩნდა მტრის გარემოცვაში. ამ პერიოდში ქემალ-ფაშამ თავის რეგულარულ არმიას შეუერთა ბეგის მიერ სამცხის სოფლებში შექმნილი ადგილობრივი ბანდები, რამაც დიდად გაზარდა მტრის ძალები.

სამცხის ქართველობა კარგად იყო დარწმუნებული, რომ მას განადგურება და გადაგვარება მოელოდა, ამიტომ რაიმე უნდა ელონა. იმ დროს სოფლებს უდესა და არალს ბევრი ჭკვიანი და მეფის არმიაში კარგად გაწვრთნილი ახალგაზრდობა ჰყავდა: უდეში – პეტრე მერაბიშვილის, არალში – შალვა ვარდიძისა და სხვათა სახით.

სოფლის თავკაცების ხელმძღვანელობით სოფელ უდეში და არალში შეიქმნა 800 კაცისაგან შემდგარი არმია, რათა დაეცვა მოსახლეობა მოძალადე ბანდების თავდასხმისაგან.

იმჟამად, დღევანდელ ადიგენის რაიონის ტერიტორიაზე სულ 72 სოფელი იყო, აქედან მხოლოდ ორი ქართული სოფელი იყო – უდე და არალი.

უდისა და არილს მოსახლეობა მედგარ წინააღმდეგობს უწევდა თავდამსხმელებს, მაგრამ ძალზე უთანასწორო იყო და მოსახლეობის ნაწილი იძულებული იყო გახიზნულიყო ქ. ახალციხეში.

მოთარეშე ბანდების საწინააღმდეგოდ სოფელში შესასვლელი ყველა გზა და ხეუდელე ჩაკეტილი იყო. სოფლის სამხრეთით და დასავლეთით მოწყობილი იყო

სათვალთვალო პუნქტები, რაც ხელ-ფეხს უბორკავდა მტერს, სოფლებში უდესა და არალში შედწევას.

იმ დროს თურქეთში ხმები დადიოდა, თითქოს უდისა და არილს სოფლების საზღვრები ისე იყო გამაგრებული, რომ სოფლის სამხრეთით და დასავლეთით აღმართული კლდეებსა და გორებზე ქვემეხები და ტყვიამფრქვევები იდგა. სინამდვილეში უდის ციხესთან ერთი ქვემეხი იყო, ხოლო სამხრეთ გორებზე ქვემეხის მსგავსად მოწყობილი იყო ღუმელის მილები, რომლებიც შორიდან მართლაც ქვემეხებს წააგავდა. ამდა სხვა გონივრულმა ღონისძიებებმა მტერს დროებით ააღებინა ხელი ვერაგულ ზრახვების განხორციელებაზე, მაგრამ როგორღა იცავდნენ უდელი და არლელი მეომრები ამ საიდუმლოებას? ეს კი ასე ხდებოდა: როდესაც მეზობელ სოფლებიდან ან თურქეთიდან დელეგატები საყარაულო პუნქტებს მიუახლოვდებოდნენ, რაზმელები თვალებს აუხვევდნენ, რომ არ შეენიშნათ მოხერხებულად შენიღბული ღუმელის მილები, ან რაზმის სიძლიერე არ გაეგოთ, როცა დელეგატებს შტაბში შეიყვანდნენ აუხსნიდნენ თვალებს, ხოლო მოლაპარაკების შემდეგ ისევ აუხვევდნენ თვალებს და იმავე წესით გააცილებდნენ საყარაულო პუნქტამდე და გაუშვებდნენ.

მამაკაცები მინდორში სამუშაოზე იარაღასხმული მიდიოდნენ, საყარაულო და სათვალთვალო პუნქტებზე მორიგეობდნენ დღე და ღამე. აი ასეთ წვალებაში ერთი წელიწადი გაატარეს.

ქართული ანდაზაა: “ციხე შიგნიდან გატყდებაო”, მართლაც ჩვენი სოფლის სიძლიერე გაცემულ იქნა ქართველი მაჰმადიანების მიერ, რომლებიც უდეში ცხოვრობდნენ, კერძოდ აღნიშნული საიდუმლოება გასცეს ამირხან და მახსუნ ბარათაშვილებმა (უკანასკნელი ლატიფშა ბარათაშვილის მამაა).

1919 წლის იანვარში სამხრეთიდან შავი ღრუბელივით წამოვიდა თურქთა ბანდების ურიცხვი ჯარი – ზოგი ირმის ჭკალიდან საძალოს ციხეს ჩამოჰყვა, ზოგი ხონასა და მარელზე გადმოვიდა, ზოგიც მდინარე ფოცხოვის ხეობით შემოვიდა, რომლებიც უდისა და არილს სოფლების სამხრეთის საზღვრებს მოეფინნენ და ჯგუფ-ჯგუფებად განახორციელეს შემოტევა.

უდისა და არილს ქართველი მოსახლეობა თავგანწირვით იცავდა სოფლების სამხრეთისა და დასავლეთის საზღვრებს, მაგრამ რას გააწყობდნენ ურიცხვ ქმალ

ფაშას ჯარის წინააღმდეგ, როცა მათ მხარდამხარ მოჰყვებოდნენ სარვალ ბეგის მიერ შექმნილი ადგილობრივი ბანდები.

უდელმა და არლელმა მეომრებმა მტერს გზა გადაუღობეს და მოძალებულ მტერს ლომებივით ეკვეთნენ. ამ უთანასწორო ბრძოლაში ბევრი ახალგაზრდა დაიღუპა, მაგრამ მტერს სოფლებში შესვლას არ აძლევდნენ.

1919 წლის იანვარში სოფელ არილს მოსახლეობამ თავი შეაფარა სოფელ ვაღესა და ახალციხეს. ხოლო უდუ დარჩა ქემალ ფაშას არმიისა და სარველ ბეგის ბანდების პირისპირ, უდუ კუნძულივით რკალში აღმოჩნდა. როგორც გრიგოლ აბაშიძე წერს:

არც გაღავანი ჰქონია ზღუდედ,
არც იყო უდუ წყლით მოზღუდული,
თათრის სოფლების ტყვეს გავდა უდუ,
გზა მიწვევტილი როგორც კუნძული.

მართლაც გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა სოფელ უდის მოსახლეობა, ამის გამო უდის თავგაცობამ სასწრაფოდ მიმართა დახმარებისათვის ქ. ახალციხის ქალქის თავს გენერალ მაღლაკელიძეს და გენერალ მაკაევის – მაყაშვილს რათა იარაღით და ცოცხალი ძალით დახმარება გაეწიათ, მათი განკარგულებით უდის საზღვრებზე გენერალ გელოვანისა და პოლკოვნიკ კერესელიძის მეთაურობით, ახალციხის სამხედრო ნაწილიდან გამოგზავნე ჯარი.

სამხედრო ნაწილის მოსვლამ გაამხნევა უდელი მომრები, რომლებმაც ჯარისკაცებთან ერთად განახორციელეს მტერზე ახალი შეტევა და მტერს პირი ადრეკინეს. ბრძოლის ხაზზე მოხუცები და ბავშვები ღებულობდნენ მონაწილეობას, მიჰქონდათ საჭმელი და ბრძოლის ხაზიდან დაჭრილები გამოჰყავდათ.

თურქმა ასკიარებმა სოფლებს წყისეებსა და მარელის მიდამოებში მოახერხეს საბრძოლო ხაზის გამაგრება, ასეთ ვითარებაში დღითი დღე მაშველი ძალებით ივსებდა თურქთა ბანდები.

ამ ბრძოლებში ბევრი უდელი ვაჟკაცის გვერდით დაიღუპა სოფელ წყისის მიდამოებში 19 წლის ჯარისკაცი პოეტი გრიგოლ მეგრელიშვილი (მთის ნიავი), რომელიც თავის ამხანაგებთან ერთად დასაფლავებულია უდის პატარე ეკლესიის ეზოში (წამებულთა სასაფლაოზე).

გენერალ გელოვანმა და პოლკოვნიკ კერესელიძემ გადაწყვიტეს, რომ ასეთ უთანასწორო ბრძოლაში უდისა და მათი ჯარის მცირე ნაწილები თურქთა ჯარის ნაწილებთან ვერაფერს გახდებოდნენ, ამიტომ მათ მიატოვეს ბრძოლის ველი და თავიანთი ჯარის ნაწილები აბასთუმანზე გაველით ზეკარის გადასასვლელით ქუთაისისაკენ გაემართნენ. ბრძოლაში ბედის ანაბარად დარჩენილი უდელი მეომრები იერიშზე გადმოსულ მოძალადე მტერს წინ წასვლის საშუალებას არ აძლევდნენ. მიუხედავად უდელთა ვაჟკაცობისა, სასწორი თურქთა მხარეზე გადაიხარა. თურქთა ურიცხვ არმიასთან ბრძოლის გაგრძელება უაზრობა იყო. ამ მომენტში სოფლის თავკაცების ყველაზე დიდი საზრუნავი იყო სოფლის მოსახლეობის გადარჩენა.

უდეს ყოველ მხრიდან მტერი უახლოვდებოდა. უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი მოსახლეობა გასაქცევ გზებს ეძებდა. უდის თავკაცობამ გადაწყვიტა იმავე დამეს სოფელი დაეტოვებინა და გახიზნულიყვნენ ახალციხეში. გადაწყვეტილება სწრაფად იქნა სისრულეში მოყვანილი. სანამ სოფელი დაიცვებოდა, მანამ მეომრებს ბრძოლით მოზღვავებული მტერი უნდა შეეჩერებინა. დაღამდა და სიბნელეში ბრძოლის ხაზზე თოფის სროლის ხმა აღარ ისმოდა.

დამით სოფელი დაცარიელდა, ხოლო ბრძოლის ველი საბოლოოდ დატოვეს უდელმა მეომრებმა და ახალციხისკენ მიმავალ სოფლის მოსახლეობას სოფელ ფარეხის მიდამოებში წამოეწივნენ.

სოფელში სამასამდე ადამიანი დარჩა, რომლებსაც სუსხიან ზამთარში ფეხით ახალციხემდე ჩასვლა არ შეეძლოთ, რის გამოც სოფელში ბედის ანაბარა დარჩნენ მოხუცები, ავადმყოფები, უსინათლოები და ნაწილი ახალგაზრდობა, რომლებმაც თავიანთი ქონება ვერ მიატოვეს.

გაქცეული მოსახლეობა გზაში ვინ ვის ასწრებდა არ იცოდნენ, ამ არეგდარევაში ზოგი შვილს დაეძებდა გზაში, ზოგი ცოლს და ზოგი კი დედას. გათენებისას დადლილ-დაქანცულებმა ძლივს ჩაადწიეს ახალციხეში.

სოფლიდან გახიზნული მოსახლეობა ჯერ კიდევ სოფლის მიჯნას არ იყვნენ გაცილებულნი, რომ სოფელს ცეცხლი წაუკიდეს და სოფელში დარჩენილ ქონებას დაეპატრონნენ ადგილობრივი ქართველი მაჰმადიანები, ასეთივე ბედი ეწვია კურორტ აბასთუმანს და ერთი თვით ადრე სოფელ არაღს.

სოფელში დარჩენილ 300-მდე სიცოცხლეს მოწყურებული ადამიანი შიშით სახლიდან გარეთ წყლის ასაღებადაც ვერ გამოდიოდნენ.

რაკი უმწეო მოსახლეობა ნახეს სოფელში ლატიფშა ბარათაშვილის დეიდას ქმარმა, რომელიც ფოცხოვიდან იყო გადმოსული თავისი ბანდისა და ძმები ამირხანა და მახსუდა ბარათაშვილების დახმარებით დაიწვეს უპატრონო სახლების ძარცვა, პირუტყვის გარეკვა, ბინების დაწვა და უმწეოდ დარჩენილი მოსახლეობის წამება და ხოცვა.

ახალციხის სამცხე ჯავახეთის ისოტიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის № 3428 გვ. 65-73 ექიმ ივანე გაბრიელის ძე ასათიანს ნაჩვენები აქვს, რომ 1918-19 წლებში თურქეთის შემოსევების დრო სოფელ უდეში ადგილობრივმა მაჰამდიანებმა უდეში აწამეს და მოკლეს 240 ადამიანი, ხოლო არალში – 30, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ მკვლელობაში მთავარ მოქმედ პირებად ითვლებოდნენ ძმები ამირხანა და მახსუდა ბარათაშვილები და მახსუდას ქვისლი ლაჩინა – თურქეთდან გადმოსული.

ზოგიერთ დახოცილთა სია:

1. მერაბიშვილი გიორგი
2. მერაბიშვილი ანა (ცოლ-ქმარი აწამეს)
3. პეტრიაშვილი პავლე
4. პეტრიაშვილი საბედო (ცოლ-ქმარი)
5. პეტრიაშვილი ქრისტინე (შვილი)
6. პეტრიაშვილი ანა (შვილი)
7. გიქოშვილი ივანე
8. გიქოშვილი ბესარიონ
9. გიქოშვილი პეტრე
10. ყულჯანიშვილი პავლე
11. ყულჯანიშვილი თერეზინა (ცოლ-ქმარი, ცეცხლში დაწვეს)
12. ბალახაშვილი შუშანა
13. ბალახაშვილი ალექსი
14. ობოლასვილი სტეფანე
15. ათოშვილი იოსები
16. მარტიაშვილი სტეფანე

17. პეტაშვილი პავლე

18. პეტაშვილი მიხეილ (ძმები)

და სხვები.

გახიზნული მოსახლეობა 1919 წლის 2 თებერვლიდან 25 აპრილამდე თავს აფარებდა ახალციხეს, ახალციხეში ორთვე ნახევარს უღისა და სამთვეზე მეტ ხანს არილს მოსახლეობა განიცდიდა შიმშილს, რამაც გამოიწვია მოსახლეობის მაისური დაავადება, ასეთ ვითარებაში მყოფ მოსახლეობას ლუკმაპურის შოვნის საშუალება არ ჰქონდა, შიმშილის ნიადაგზე გავრცელებულმა ეპიდემიამ (ტიფი) ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

1919 წლის აპრილის პირველ ნახევარში ქართველი ჯარის ნაწილები შემოვიდნენ ახალციხეში , რომელთა მეშვეობით გათავისუფლებულ იქნა ქვაბლიანის ტერიტორია და ჩვენს მოსახლეობას საშუალება მიეცა 15-დან 25 აპრილამდე დაბრუნებოდა თავიანთ გაპარატახებულ კერას.

დაახლოებით აპრილის დასაწყისში ქართველი ჯარის შემოსვლის დროს ქვაბლიანის ქართველი მაჰმადიანები ოჯახებით გარბოდნენ, ზოგი აჭარაში და ზოგიც თურქეთში, სარგალ ბეგის მამა ფეიზულა ბეგი (ათაბაგ ქობლიანსკი) თავის სოფელ ბენარაში ქართველ ჯარს პურმარილით შეეგება და ამით სისხლისღვრა შეწყდა. გაქცეული მაჰმადიანი მოსახლეობა გზიდა დააბრუნეს.

სასოფლო საბჭო და მათი ხელმძღვანელობა

ჯერ კიდევ 1828 წელს, როცა იქნა თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლდა სამცხე, მაშინ დღევანდელ ადიგენის ტერიტორია ახალციხის მაზრაში შევიდა. ამ ტერიტორიაზე სამი სამამასახლისო ყოფილა – ადიგენის, ვარხნისა და უდის. უდე მაშინ ახალციხის მაზრაში ყველაზე დიდი სამამასახლისო ყოფილა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების წლებში კი ჯერ რეკომები იყო, ხოლო შემდეგ თემსაბჭო, რომლებშიც შედიოდა არალი, ორჭოშანი, წარბასტუმანი, მარელი, ხონა, ქვემო და ზემო წყისე, ზაზალო, ხურო, ღორძე, ამხერი, სამყრე, კახარეთი და ლელოვანი. აღნიშნულ სოფლებს განაგებდა კარგაზანს უდის რეკომი, ხოლო შემდეგ თემსაბჭო.

უდის სასოფლო კოოპერატივი აღნიშნულ სოფლებს უწევდა მომსახურებას. დროთა მსვლელობაში რეკომები გადაკეთდა თემსაბჭოებად და ბოლოს თემსაბჭოები შეიცვალა სასოფლო საბჭოებად.

1929-1930 წლებში ახალციხის მაზრას ადიგენი გამოეყო ცალკე რაიონად და სასოფლო საბჭოების რიცხვი გაიზარდა რაიონში. თუ უდის თემსაბჭოს შემადგენლობაში ძველად შედიოდა 14 სოფელი, სასოფლო საბჭოების გარდაქმნის დროს, უდის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში დარჩა – უდე, არალი და ხურო, ხოლო 1945 წლიდან კი - უდე, არალი და წარბასტუმანი.

უდის თემსაბჭოში შემავალი 14 სოფელი, შემდეგ 4 სასოფლო საბჭოდ განაწილდა: უდის, მარელის, ზაზალოსა და ლელოვანის სასოფლო საბჭოებად, რათა ხელმძღვანელობა და მართვა ადვილი ყოფილიყო. ასეთივე ბედი ეწვიათ ადიგენისა და ვარხანის თემსაბჭოებს.

საბჭოთა ხელისუფლების დაპყრობის დღიდან უდეში რეკომის თავჯდომარედ მუშაობდა მერაბიშვილი პეტრე გრიგოლის ძე, შემდეგ ნიშნავენ მამულაშვილი გიორგი პეტრეს ძეს, ხოლო თემსაბჭოს თავჯდომარედ თომა გრიგოლის ძე მერაბიშვილს, რომელსაც შემდეგ ცვლის ზაზაშვილი სიმონ სტეფანეს ძე, სარაშვილი ედუარდ იოსების ძე, ჩილაშვილი მიხა ანტონის ძე, მაისურაძე გიგლა იორდანეს ძე, ზაზაშვილი სიმონ სტეფანეს ძე, გიგოლაშვილი პეტრე ავეტისის ძე, ყულჯანიშვილი ლევან არუთენის ძე, სარაშვილი ედუარდ იოსების ძე, საანიშვილი გიორგი (ქორა) პავლეს ძე, მაისურაძე სიმონ იოსების ძე, გიგოლაშვილი ამირან სტეფანეს ძე, თათენაშვილი ოსიკო ალექსანდრეს ძე, აბულაძე გიორგი ივანეს ძე, თუმანიშვილი ლევან სტეფანეს ძე,

მერაბიშვილი ავთანდილ გიგლას ძე, ბალახაშვილი შოთა მოსეს ძე და 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა სოფ უდის საკრებულოს არჩევნები. 17 აპრილს აირჩიეს საკრებულოს მდივანი პავლე მიხეილის ძე მღებრიშვილი.

1991 წლის 24 აპრილს აირჩიეს სოფელ უდის საკრებულოს გამგებელი ანტონ პავლეს ძე პარუნაშვილი ხოლო შემდეგ გურამ სტეფანეს ძე ბოჩიკაშვილი.

უდის სასოფლო საბჭო რაიონში ყველაზე დიდ სასოფლო საბჭოდ ითვლებოდა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა არალი და წარბასთუმანი.

მიმდინარე 1983 წლის 19 იანვარს მთავრობის დადგენილებით სოფლები არალი და წარბასთუმანი უდეს გამოეყვნენ და არალში საბჭო შეიქმნა.

უდეში არის სამი საშუალო სკოლაა – უდის №1, №2 და უდის ახალგაზრდობის საშუალო სკოლა.

უდეში 5 ბიბლიოთეკაა, ხოლო სშუალო სკოლებს აქვთ თავიანთი ბიბლიოთეკები. არის მუსიკალური სკოლა, რომელსაც აქვს თავისი ბიბლიოთეკა.

სოფლის ახალგაზრდობას მომსახურებას უწევს კულტურის სახლი, რომელსაც აქვს ფართო ეკრანიანი კინო დანადგარი.

უდეში არის ორი ბაგა ბაღი, ფოსტა, ტელეგრაფი, ატეესი, შემნახველი საღარო, სასურსათო და სამრეწველო, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟისა და სხვა სექციები.

სოფელში გარდა უნივერმადისა არის სამი შერეული, ავეჯის, წიგნების მაღაზია, სასადილო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

თუ წინათ სოფლის მოსახლეობა მოკლებული იყო სამედიცინო მომსახურებას, დღეს უდის სასოფლო საბჭოს მომსახურებას უწევს ამბოლატორია, საავადმყოფო 35 საწოლზე, სამშობიარო სახლი, აფთიაქი და ვებ სამკურნალო დაწესებულება.

1977 წელს დაიწყო სოფლის ცენტრალური გზის გაფართოება – მოასფალტება.

1958 წლიდან უდის ყველა მოსახლემ გაიშენა ორსართულიანი ოდა სახლი, რომელიც ნათურებით არის გაჩირადდნებული.

კულაკობა და კოლმეურნეობის ჩამოყალიბება

როგორც საქართველოს სხვასახვა კუთხეებში, ისე ადიგენის რაიონის სოფელ უდემიც დაიწყო კულაკობის – ამ სამარცხვინო მოქმედების განხორციელება, გააკულაკეს – ჩამოართვეს პირუტყვი, მარცვლეული, სახნავი და ბალის ფართობები ისეთ ოჯახებს, რომლებიც შედარებით სხვებზე მაძღარნი იყვნენ და შეძლებულად ცხოვრობდნენ, აღნიშნულის საფუძველზე დაიწყო კოლმეურნეობის ჩამოყალიბება. კოლმეურნეობაში პირველად შევიდნენ ის ოჯახები, რომლებიც ძირითადად შიმშილობდნენ და მცირე სახნავ-სათესი მიწები გააჩნდათ, მათ დაიწყეს სხვა გლეხების მაღალ მოსავლიანი სახნავი მიწების დაპატრონება და კოლმეურნეობაში გაერთიანება, ხოლო გაკულაკებულებს კი უკრძალავდნენ კოლმეურნეობაში შესვლას, ძირითადად აღნიშნული საკითხები თვითნებურად წყვეტდნენ კომკავშირელები და მათი მიმდევრები.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, სოფელში შეიქმნა ურთიერთ დაპირისპირება, შური და მტრობა.

1930 წლის გაზაფხულზე კოლმეურნეობამ იწყო დაშლა, გლეხობამ დაიწყო უკან გამოსვლა, ხოლო კოლმეურნეობაში დარჩნენ კომკავშირელები და უმიწაწყალო გლეხობა. 1931 წლიდან მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების (დაშინება) შედეგად დაიწყო მოსახლეობის მასიური შესვლა კოლმეურნეობაში.

კოლმეურნეობის ჩამოყალიბების პირველ დღეებში თავჯდომარედ ირჩევენ ვანო სერაფიმის ძე მერაბიშვილს, ხოლო ორი წლის შემდეგ სარქის სიმონიეს ძე მარტიაშვილს.

1939 წელს კოლმეურნეობის თავჯდომარედ ირჩევენ მაისურაძე გიგლა იორდანის ძეს და ამ პერიოდისათვის სოფელში კოლექტივიზაცია დამთავრდა. 1942 წლიდან კოლმეურნეობას სათავეში სიმონ იაკობის ძე პეტაშვილი.

1939-45 წლებში უდიდან 505-ზე მეტი ახალგაზრდა იქნა გაწვეული სამხედრო სასწავლებელში, სწორედ ამ პერიოდში კოლმეურნეობის მთლიანი საქმიანობა დააწვათ მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს, რომლებიც შიმშილისა და სიცივის მიუხედავად შრომას არ გაუბოდიხნენ, მაშინ როცა კოლმეურნეობაში ყველა სახის სასოფლო სამეურნეო სამუშაო ხელით სრულდებოდა.

1944 წლის 14-15 ნოემბერს მთავრობის დადგენილებით საზღვრის ზონაში მცხოვრები მაჰმადიანები, ქურთები და თურქები გაასახლეს შუა აზიის რესპუბლიკაში, მათ შორის სოფელ უდიდან 133 ოჯახი.

მათი გასახლების ძირითადი მიზეზი ჩვენი აზრით იყო თურქეთის სახელმწიფოსთან (დაზვერვის) საიდუმლო კავშირი, მესხეთის ქართველ მოსახლეობაზე ომის პერიოდში თითის ქნევა, რომ მალე დადგება ჩვენი დრო და მოგივლითო, რომ ბორჯომის ზემოდან ქართულად “გამარჯვება” აღარ უნდა იყოსო.

1942 წელს ადიგენის რაიონის სოფელ ხონაში 22 ახალწვეულმა (მაჰმადიანმა) მიიღო გასაწვევი ფურცლები და ამავე რიცხვში შუადღისას შეარჩა შემთხვევა და მავთულხლართებზე მიაღვეს ფიცრები და გადავიდნენ თურქეთში.

1942 წლის შემოდგომით ადიგენის რაიონის სოფ. მოხის ტყეში 300-ზე მეტმა მაჰმადიანმა თურქეთის მთავრობის ხელშეწყობით შეიარაღებულნი დაბანაკდნენ ტყეში იმ მიზნით, რომ გაეხსნა ვითომდა მეორე ფრონტი და იმ ტყიდან იმუქრობდნენ სოფელ უდისა და არილს მოსახლეობაზე, რომ მალე თურქეთიც ჩაებმებოდა ომში და ამ ორ სოფლის მოსახლეობას ამოწვიტავდნენ.

1945 წლის 1 იანვრისათვის რაიონში დარჩა 884 ოჯახი 3888 სულით და კერძო მესაკუთრე 10 ოჯახი 42 სულით. სულ 894 ოჯახი 3930 სულით (1945 წლის აღწერაში შედის უდის, არილს, კიკიბოს, კურორტ აბასტუმანის. ბოლაჯურისა და ბენარის მოსახლეობა). ამ დროს იწყება საქარველოს სხვადასხვა რაიონებიდან ქართველი მოსახლეობის ჩამოსახლება.

1948 წელს უდის შ. რუსთაველის სახ. კოლმეურნეობა ზემდგომი ორგანოების დადგენილებით გაიყო ორად – რუსთაველისა და ჩხუბიანაშვილების სახელობის.

ჩხუბიანაშვილების სახ. კოლმეურნეობის გამგეობის თავჯდომარედ აირჩიეს (დანიშნეს) პავლე პარუნაშვილი, ხოლო რუსთაველის სახ. კოლმეურნეობაში გააგრძელა მუშაობა სიმონ პეტაშვილმა. კოლმეურნეობის გაყოფა მაშინ და დღესაც არ მიგვაჩნია გამართლებულად, მაგრამ რას იზამ, ხალხს ვინ ეკითხებოდა. ხოლო 1950 წელს კი ისევ გაერთიანდა კოლმეურნეობა.

1951 წლიდან კოლმეურნეობას სათავეში უდგება მერაბ პეტრეს ძე მერაბიშვილი, შემდგომ პერიოდში კოლმეურნეობას ხელმძღვანელობდნენ: გიგოლაშვილი პეტრე ავეტისის ძე, მერაბიშვილი ვახტანგ სერაფიმეს ძე, პეტაშვილი პეტრე იოსების ძე,

მერაბიშვილი პავლე ანტონის ძე, ობოლაშვილი ანტონ გრიგოლის ძე, აბულაძე გიორგი ივანეს ძე, ინასარიძე ალექსანდრე კონსტანტინეს ძე, მერაბიშვილი პავლე ანტონის ძე (მეორედ), ხოლო 1987 წლიდან კოლმეურნეობის გაუქმებამდე 1990 წლამდე თავჯდომარედ შოთა მოსეს ძე ბალახაშვილია.

1973-79 წლებში უდის კოლმეურნეობასთან შეერთებულნი იყვნენ ლელოვნის, კახარეთის, სამყურისა და ღორძის სოფლები, რომელთა ბანკის სახელმწიფო ვალები დაფარა უდის კოლმეურნეობამ და შემდეგ ისევ გაყვეს და ჩამოაყალიბეს ლელოვნის კოლმეურნეობად.

1980 წლისათვის უდის კოლმეურნეობას ერიცხებოდა 5280 ჰექტარი სავარგული, მათ შორის სახნავი 510, ხეხილის ბაღი 80, სათიბი 390, საძოვარი 2800, სხვა დანარჩენი 1506 ჰექტარი, ხოლო კოლმეურნეთა საკარმიდამო განსაზღვრული იყო 0.15 ჰექტარიდან 0.30 ჰექტარამდე, რაც შეადგენდა 192 ჰექტარს.

იმის გამო, რომ სოფ. უდისა და არილს სავარგულების დიდი ნაწილი ძირითადი ნაწილი იყო ურწყავი, მოსავლიანობის გადიდების მიზნით გაყვანილ იქნა გორგულ არაღის სარწყავი არხი, რომელიც 14 კმ მანძილზე მეტს მოიცავს.

ხოლო 1977-78 წლებში მოწყობილ იქნა უდის თავზე ხელოვნური წყალსაცავი, რომლის ადგილას პატარა მოცულობის ტბა იყო. მისი ზედაპირის სარკე 14 ჰექტარამდეა და 2,5 მილიონი კუბური მეტრის ტევადობისაა, შიგ გაშვებულია სამრეწველო ხასიათის თევზი, აღნიშნული ტბიდან ირწყვება სეზონზე უდისა და არილს ძირითადი სასოფლო სამეურნეო სავარგულები.

1937 წელი როგორც მთლიანი საქართველოსათვის, ისე ჩვენი სოფლისთვისაც დიდ ტრაგედიად ითვლება, ამ დროისათვის სოფელში შეიქმნა ე.წ. სამეული (ტროიკა), რომელნიც თავიანთ სურვილისამებრ ქმნიდნენ ყალბ მასალებს ამა თუ იმ პიროვნებებზე და აპატირებდნენ. ძირითადად სიაში იყვნენ იმ ოჯახების უფროსები, რომლებიც კარგად ცხოვრობდნენ.

ამ დიდი ტრაგედიის მსხვერპლნი არიან:

1. ობოლაშვილი ივანე
2. აფრიაშვილი მირზა
3. კიკნაზე სიმონ
4. მაისურაძე იორდანე

5. ბალახაშვილი სტეფანე
6. მერაბიშვილი პეტრე
7. მერაბიშვილი თომა
8. მერაბიშვილი ალექსანდრე
9. პეტაშვილი იოსები
10. აზირაშვილი თედორე
11. გელაძე სტეფანე
12. ბოჩიაშვილი მოსე
13. გიქოსვილი იორდანე
14. ბოჩიაშვილი ფრანცი

და სხვა

ამ პერიოდისათვის უდუში დაპატიმრებულნი იყვნენ 30 პირზე მეტი, რომელთა უმრავლესობა მშობლიურ კერას ვეღარ დაუბრუნდა. ამ ადამიანთა წამებასა და სიკვდილში ხელი აქვთ გასვრილი ზემოთ ნახსენებ სამეულის წევრებს, რომელთა გვარებს შეგნებულად არ ვასახელებთ, რადგან არ გვინდა წყენა მივაყენოთ მათ შთამომავლობას.

კოლმეურნეობის წარმოების ძირითადი დარგების განვითარება მემინდვრეობა

1968 წლიდან მინისტრთა საბჭოს დადგენილებით კოლმეურნეობას შეუმცირდა მარცვლეული კულტურების წარმოება და მის ხარჯზე გაიზარდა კარტოფილის, ბოსტნეულის, საკვები ჭარხალის, შერიის (ერთწლიანი ბალახის) ნათესები, მესაქონლეობის საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით.

ძველად სოფელ უდეში მარცვლოვან კულტურებს შორის წამყვანი ადგილი ეკავა: თეთრ და წითელი დოლის პურს, ჯავახეთის დიკას (საგაზაფხულო). შავფეხას, ჭვავს, მახობელა ხორბალს, შემოდგომისა და გაზაფხულის ქერს, ფეტვს, სიმინდს და სხვა. რაც შეეხება პარკოსანი მცენარეებიდან ძირითადად გავრცელებული იყო ლობიოს მინდვრის და სარის სახეობები და სელის კულტურა.

ბოსტნეულ-ბაღჩეულ კულტურებიდან ძირითადად ითესებოდა და ირგებოდა: კიტრი – ლანტა და გილანის ჯიშის, საზამთრო, ნესვი, ხახვი, ნიორი, კომბოსტო, პომიდორი, ბოლოკი და სხვა.

მეხილეობა

მეხილეობა როგორც მესხეთისათვის, ისე უდის მოსახლეობისთვისაც უძველესი ერთ-ერთი სისხლორცეული და საამაყო დარგია, რომელზედაც მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ დღეს უდეში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებთან შედარებით ყველაზე მეტი ხილის აბორიგენული (ადგილობრივი) ჯიშებია გავრცელებული. სახელდობრ, ვაშლი: აბილაური, მეფის ვაშლი, ბოსტნის ვაშლი, მსუქანა, ქონა, რძე ვაშლი, მიხაკის, მახარა, მამულო, რკინა ვაშილი და სხვა. მსხალი: ნაზაზირი, გოგრა, კაცის ტავა, კვირისტავა, მიხრიკი, თავრეჯული, სესელა, ნენე მსხალი, ბოქშუა, გრძელი მსხალი და სხვა. აღნიშნული ჯიშები გამოირჩევიან სიცოცხლის ხანგრძლივობით, ყინვისა და დაავადებების მეტი ამტანობით, მაღალიმსხმოიარობით, ნაყოფის დიდი არომატულობითა და გამძლეობით, ასევე საკმაოდაა გავრცელებული ჭანჭურის, ქლიავის, ტყემლის,

კაკლის, შინდის, კომშის სხვადასხვა ჯიშები, ამ უკანასკნელ პერიოდში მოსახლეობამ ფართოდ დაიწყო ვენახის სხვადასხვა ჯიშის გაშენება და ღვინის დაყენება საკუთარი მოხმარებისთვის.

მესაქონლეობა

უღის კოლმეურნეობას ჰქონდა მსხვილფეხარქიანი პირუტყვის მძლავრი ფერმა, 1585 სულით, აქედან მეწველია 520 სული, ღორი 450 სული, ქათამი 7400 ფრთა, აქვს ინკუბატორი, ყოველივე ზემოთ დასახელებული დიდ შემოსავალს აძლევს უღის კოლმეურნეობას.

კოლმეურნეობას აქვს სახერხი ქარხანა, ელექტრო წისქვილი, აბანო, საკვების შემამზადებელი საამქრო და სხვა ნაგებობანი.

უდელი ახალგაზრდობა დიდ სამამულო ომში

სამარადისო დიდება ჩვენს თანასოფლელებს, რომლებიც
გმირულად შეეწირნენ დიდ სამამულო ომს

1941-1945 წლებში

43 წლის წინ, 1941 წლის 22 ივნისს დილის 4 საათზე ჩვენს ქვეყანას ვერაგულად თავს დაესხა ფაშისტური გერმანია.

სამშობლოს დასაცავად აღსდგა მთელი საბჭოთა ხალხი ვერაგი მტრის წინააღმდეგ. ჩვენი რესპუბლიკიდან 700 ათასამდე კაცმა მიიღო აქტიური მონაწილეობა სამკედრო – სასიცოცხლო ბრძოლებში, მათ შორის 16 ათასზე მეტი ქალი, 23 ათასი ოფიცერი, 48 ათასი გენერალი და აღმირალი ღებულობდა მონაწილეობას. მათგან მთავრობის მაღალი ჯილდო დაიმსახურა 244760 კაცმა, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა 155 კაცს, რომლებმაც გვიჩვენეს გმირობისა და მამაცობის არნახული მაგალითები.

ბევრმა ახალგაზრდამ თავისი ღამაში სიცოცხლე შესწირა ჩვენს ძვირფას სამშობლოს. ისინი შინ ვერ დაბრუნდნენ, რომლებსაც შინმოსვლელებს ვეძახით, დიას, მართლაც ისინი ვერ დაბრუნდნენ მაგრამ მათმა ვაჟკაცურმა გმირობამ გვამცნო გერმანიაზე გამარჯვება, მათ თავიანთი მკერდით დაიცვეს ჩვენი სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა.

საქართველოს არცერთ კუთხეში არაა ოჯახი, რომ არ განეცადოს ომის მწარე ხვედრი.

სამამულო ომის ქარცეცხლიან დღეებში მესხეთიდან ფრონტზე წავიდა 12 ათასი კაცი, აქედან დაიღუპა თითქმის ნახევარი, 12 ათასიან მებრძოლთა რიგებში შედიოდა სოფელ უდიდან 505 ახალგაზრდა, მათ რიცხვებში 40 ოფიცერი. 243 რიგითმა და 20 ოფიცერმა ვეღარ მიაღწია თავის მშობლიურ სოფლამდე, ისინი გმირულად დაეცნენ მტერთან ბრძოლაში სამშობლოს თავისუფლებისათვის.

საბჭოთა არმიეს მეომრებთან ერთად სოფელ უდის ახალგაზრდობის ნახევარზე მეტმა სამამულო ომის ქარიშხლიან დღეებში სამუდამოდ ჰპოვა ცივი სამარე, როგორც საბჭოთა მიწაზე, ისე ევროპისა და აღმოსავლეთ აზიის ვრცელ, თვალუწვდენელ სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო ზოგს კი შავდღეებში სამარეც კი არ ღირსებია.

შინ მოუსვლელი ახალგაზრდა პოეტი გ. ნაფეტვარიძე მშობლებისადმი მიწერილ წერილში წერს:

თუ მოადგება მტერი ტრამალებს,
გმირების გვერდით უნდა მეძებოთ
ვისაც ფრონტებზე ერგოს სამარა
იმისი იყოს ეს სადღეგრძელო!

გ. ნაფეტვარიძემ როგორც პოეტმა და სამშობლოს ერთგულმა ჯარისკაცმა, თავისი სიტყვა საქმედ აქცია, ისევე როგორც 263 უდელმა შინმოსვლელმა, მათაც გმირების გვერდით ჰპოვეს სამუდამო სამარა, რომელთა სახელებს არასოდეს დაივიწყებს მომავალი თაობა.

უდიდან ომში მონაწილეთა შორის 40 ოფიცერი იყო, აქედან სამწყობრო დარგში მაიორი 1, კაპიტანი 2, უფორსი ლეიტენანტი 3, ლეიტენანტი 18, უმცროსი ლეიტენანტი 6, მედიცინეს სამსახურის მაიორი 4, კაპიტანი 2, ხოლო ვეტერინარი 4.

ომში დარუპულ მეომართა უკვდავსაყოფელად კულტურის სახლში, გაკეთებულია სტენდი, ისინი სტენდიდან ცოცხლად იყურებიან, რის გამოც მათ შინმოუსვლელებს ვეძახით, მათგან უმეტესობას არ ჰყავდა შვილი და ცოლი და არც შთამომავლობა დაუტეოვებიათ, ამიტომ ისინი ჩვენს მესსიერებაში დარჩნენ როგორც ახალგაზრდები, ხოლო დაღუპულთა ნაწილს დარჩათ შვილები, რომლებიც ტკბილად იგონებენ მამებს.

მეთაურთა შემადგენლობა რომლებიც შინ დაბრუნდნენ

№	გვარი, სახელი, მამის სახელი	დაბადების წელი	სამხედრო წოდება	შენიშვნა
1	გიქოშვილი იოსებ გიორგის ძე	1912	უფრ. ლეიტენანტი	გარდაიცვალა 1979
2	ბალახაშვილი ანტონ იოსების ძე	1915	უფრ. ლეიტენანტი	გარდაიცვალა 1984
3	მერაბიშვილი შოთა პეტრეს ძე	1922	კაპიტანი	გარდაიცვალა
4	მაისურაძე სიმონ იოსების ძე	1921	ამჟამად მაიორი	
5	გიგოლაშვილი პეტრე ავეტის ძე	1907	ლეიტენანტი	გარდაიცვალა 1993
6	გიგოლაშვილი ალექსანდრე ავეტის ძე	1909	ლეიტენანტ ვეტერინარი	
7	ჩილაშვილი სტეფანე ივანეს ძე	1913	მედიცინის კაპიტანი	გარდაიცვალა 1980
8	პეტაშვილი არტემ ივანეს ძე	1917	ლეიტენანტი	გარდაიცვალა 1979
9	პეტაშვილი იოსებ ივანეს ძე	1915	მედიცინის მაიორი	
10	პეტაშვილი სიმონ იოსების ძე	1902	მედიცინის სამსახური	გარდაიცვალა 1993
11	ზაზაშვილი სიმონ სტეფანეს ძე	1902	ლეიტენანტი	გარდაიცვალა 1991
12	მერაბიშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე	1920	მედიცინის სამსახური	გარდაიცვალა 1992
13	მერაბიშვილი მირიან პეტრეს ძე	1914	მედიცინის მაიორი	
14	თუმანიშვილი სტეფანე სიმონის ძე	1910	ლეიტენანტ ვეტერინარი	
15	მამასახლისაშვილი ივანე სტეფანეს ძე	1914	ლეიტენანტ ვეტერინარი	
16	სუხმანი ლაზარე სიმონის ძე	1919	უმცრ. ლეიტენანტი	
17	პარუნაშვილი შოთა ფრანცის ძე	1916	უმცრ. ლეიტენანტი	
18	თათუნაშვილი იოსებ არუთუნის ძე	1914	უმცრ. ლეიტენანტი	
19	აღღმაშვილი ეფრემ მიხეილის ძე	1922	ამჟამად მაიორი	
20	ყულჯანიშვილი პეტრე იოკიმის ძე	1922	კაპიტანი	

ომში დაღუპულ მეთაურთა შემადგენლობა

№	გვარი, სახელი, მამის სახელი	დაბადების წელი	სამხედრო წოდება	შენიშვნა
1	მამულაშვილი არტემ პეტრეს ძე	1914	მაიორი	
2	მერაბიშვილი პავლე პეტრეს ძე	1920	მედიცინის კაპიტანი	
3	მერაბიშვილი ანტონ პეტრეს ძე	1918	ლეიტენანტი	
4	ნარიმანაშვილი ანტონ სტეფანეს ძე	1916	კაპიტანი	
5	აღმაშვილი ვანიკო არტემის ძე	1919	ლეიტენანტი	
6	აბულაძე გიორგი სტეფანეს ძე	1907	ლეიტენანტი	
7	ბოჩიკაშვილი პეტრე მოსეს ძე	1904	ლეიტენანტ ვეტერინარი	
8	ბოჩიკაშვილი ანტონ სტეფანეს ძე	1915	ლეიტენანტი	
9	გიგოლაშვილი გიორგი სტეფანეს ძე	1914	უფრ. ლეიტენანტი	
10	გიგოლაშვილი სიმონ მელქონის ძე	1915	ლეიტენანტი	
11	გიქოშვილი ლაზარე პეტრეს ძე	1916	ლეიტენანტი	
12	გიქოშვილი იორდანე მიხას ძე	1920	ლეიტენანტი	
13	თათოშვილი სიმონ ამბროსის ძე	1910	ლეიტენანტი	
14	მერაბიშვილი ვასო ივანეს ძე	1919	ლეიტენანტი	
15	მერაბიშვილი ალიოზ ანტონის ძე	1914	ლეიტენანტი	
16	მერაბიშვილი ივანე არუთენის ძე	1917	ლეიტენანტი	
17	ჭაღიაშვილი პავლე ანტონის ძე	1908	ლეიტენანტი	
18	აზირასვილი სანდრე სტეფანეს ძე	1910	უმცრ. ლეიტენანტი	
19	ბარბლიშვილი ივანე პავლეს ძე	1910	უმცრ. ლეიტენანტი	
20	გიქოშვილი იორდანე პეტრეს ძე	1920	უმცრ. ლეიტენანტი	

ომში დაღუპულ ჯარისკაცთა სია

№	გვარი, სახელი, მამის სახელი	დაბადების წელი	დაღუპვის წელი	შენიშვნა
1	აბულაძე იოსებ თომას ძე	1908	1942	
2	აბულაძე პავლე თომას ძე	1913	1942	
3	აბულაძე სიმონ თომას ძე	1921	1942	
4	აბულაძე ანტონ ფანჩოს ძე	1918	1944	
5	აბულაძე ვასილ ივანეს ძე	1923	1942	
6	აბულაძე იოსებ პეტრეს ძე	1924	1942	
7	აბულაძე პეტრე თომას ძე	1914	1944	
8	აბულაძე ანტონ ლევანის ძე	1903	1941	
9	აბულაძე პეტრე სტეფანეს ძე	1914	1942	
10	აბულაძე ივანე სტეფანეს ძე	1906	1943	
11	აბულაძე ალექსი ფანჩოს ძე	1923	1941	
12	აბულაძე სტეფანე პავლეს ძე	1906	1942	
13	აბულაძე ანტონ თომას ძე	1923	1945	
14	აბულაძე გიორგი სტეფანეს ძე	1908	1942	
15	აზირაშვილი სიმონ თედორეს ძე	1922	1943	
16	აზირაშვილი ანტონ იოსების ძე	1918	1942	
17	აზირაშვილი სიმონ სტეფანეს ძე	1914	1943	
18	აზირაშვილი ანტონ სტეფანეს ძე	1922	1942	
19	აზირაშვილი პეტრე სტეფანეს ძე	1907	1942	
20	აზირაშვილი სანდრე სტეფანეს ძე	1910	1942	
21	აზირაშვილი სიმონ იაკობის ძე	1912	1944	
22	აფრიაშვილი პავლე ივანეს ძე	1919	1943	
23	აფრიაშვილი ლევან იორდანეს ძე	1907	1941	
24	აფრიაშვილი პეტრე იორდანეს ძე	1910	1944	

P.S. ღანარჩენი აკლია